# ცისკარი

---

**1862**

იანუარი.

წელიწადი მეექუსე.

## წოდება თხზულებათა:


I. —ირაკლი მეორის მეფობა საქა-
რთჳელოში. . . . . . თ. ოძან ხერხეულიძისა.
II. —ლექსები სხჳა და სხჳა მწერლებისა.
III. —ლაფონტენი და ფუკე. . . . გ. დიდებულიძისა.
IV. —წარმოება არაგჳს ერისთავთა, . კნ. ბარბარე ჯორჯაძისა.
V. —სიტყჳა, თქმული ახალს წელიწ'დს. გაბრიელ ეპისკოპოზისა.
VI. —სხჳა და სხჳა ანბავი (იხილე მეორე გვერდზედ.)


---

# ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# ცისკარი

## ქართული

## სალიტერატურო ჟურნალი

გამოიცემის ი. კერესელიძის-მიერ.

იანვარი.

წელიწადი მეექვსე.

«თუ შეიყვარო სმენად,—მიითვალე, და
უკეთუ მიუპყრა ყური შენი,—ბრძენ იქმნე.»
(წიგ. ისო. ზირ. თავი **6**. მუხ. **34**.)

---

ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

**1862**

Печатать позволяется. 26-го Декабря 1861 года.
Ценсоръ Каитмазовъ.

## ირაკლი მეორის მეფობა საქართჳელოში.

წელსა ჩღკბ, დაჯდა ყაენად მე შაჰ-სულტან უსეინისა შაჰ-თამაზ, და ამ ჟამად იჯდა ქართლში მეფედ ვახტანგ ლეონის-ძე, და კახეთში იჯდა მეფედ კონსტანტინე ირაკლის-ძე, რომელსა ეწოდა სახელად მამად-ყული-ხან თათრობისა-გამო, გარნა ესე ორნი მეფენი იყჳნენ სიყჳარულსა და ერთობასა ზედა ურთიერთისადმი. ხოლო ოდეს სცნა ერთობა ამათი შაჰ-თაბაზ, რომელსა არა მცირედ შეუძნდა ერთობა მათი, და განიზრახა მათშორის შთაგდება შურისა, რომლისათჳს მოსწერა და მოსცა მეფობა ქართლისა მამად-ყული-ხანს, და მოემცნო

მას ვინაჲდგან ხარ მახმადიანი, შენ ამისთჳს სარწმუნოდ გრაცს და მეფეს ვახტანგს ვეღარ ვენდობიო, განამე მეფე ვახტანგ და ქართლი შენ დააჭირეო, და მოსცა ამისთჳს შემწედ განჯა, ყარაბაღი და ერევანი და ამის ძლით შემოიკრიბნა ამ ქუეყნებიდამ ჯარები და მოვიდა მეფე მამად-ყული-ხან მახლობელ ტფილისისა ქალაქისა სეიდაბათში, სადაცა გავიდა მეფე ვახტანგ, შეება, და აოტა მამად-ყული-ხან და წარვიდა მეოტი, გარნა არა ინება დაყოვნება დროჲსა, არამედ მასვე ჟამსა მეოტი მივიდა ჭარში და შემოიკრიბნა ჭარელნი, გაიმრავლა ჯარები, კვალად მოვიდა მეორედ სეიდაბათში და გავიდა მეფე ვახტანგიცა, შეება, გარნა იძლივა მეფე ვახტანგ მათგან და აღარა მოიქცა ტფილისად, არამედ წარვიდა ზემო ქართლს და მაჰმად-ყული ხან შემოვიდა ტფილისს, და დაჯდა მეფედ ბრძანებითა შაჰ-თამაზისათა.

წელსა ჩღკგ, ხონთქრის სარასკარი მო-
ვიდა ყარსსა და ამან შეიტყო ესე ვითა-
რება ქართლისა და ნახა ჟამი მარჯუჵ,
რომლისათჳს მოსწერა მეფესა ვახტანგს:
წარმომივლინე ერთი ნათესავთა შენთაგანი,
და მე ვაოტო მაჰმად-ყული-ხან, და დაგი-
მტკიცო ქართლით. და მეფემან წარუვლი-
ნა ძმა თჳსი იესე, წამოემართა ყარსიდამ
სარასკარი ჯარით და მოვიდა შამბიანს
და კვალად მიავგება მე თჳსი ბაქარ, და
წარმოემართა სარასკარი მუნითგან, და და-
იბანაკა ყურყუთას, ხოლო სცნა რა ესე
მამად-ყული-ხან, რომელ არა აქჳს პირდა-
პირი ძალი მისი, ამისთჳს მიეგება და მი-
ართვა კლიტენი ციხე ქალაქისანი და ევე-
დრა რა მიცემასა ქართლისასა და დამტ-
კიცებასა მეფობისასა; ხოლო მან არა
ინება, დმ შეიპყრა თხოვისაებრ ბაქარისათა
და პატიმარ ჰყო იგი, ამასვე თუჵსა იჳნისს
სარასკარი შემოვიდა ტფილსს, და

მისცეს მეფობა ბაქარს ძესა მეფისა ვახ-
ტანგისასა, და ვინაჲთგან არა ამეფეს ნები-
საებრ თჳსისა, იგი მასვე წელსა განივლტო
ოსმალთაგან და მივიდა მამისათანა.

წელსა ჩღკდ, მეფე ვახტანგ და ბაქარ
წაბძანდნენ რუსეთად. და ძმა მეფისა ვახ-
ტანგისა მეფე იესე გათათრდა და კუალად
მისცეს ოსმალთა მეფობა ქართლისა იე-
სეს, გარნა არცა იგი ამეფეს ნებისაებრ
თჳსისა და მოკუდა მეფე იესე, წელსა ჩღლგ.

ამასვე წელსა კახთ მეფეს მაჭმად-ყული-
ხანს უღალატეს და მოკლეს სამზირალში,
მრავალნი თავადნი და გლეხნი მოსწყჳდ-
ნეს ოსმალთა კახნი, გარნა კახეთი ნები-
საებრ თჳსისა ვერა დაიპყრეს, და მოინ-
დვეს კახთ მეფის მაჭმად-ყულიხანისა, თეი-
მურაზ, და მისცეს მეფობა კახეთისა ზა-
კჳთ, ვინაჲთგან ნებავდათ დაპყრობა კახე-
თისა ვითარცა მსგავსად ქართლისა.

წელსა ჩღლდ, უსუფ ფაშა მოვიდა დიდის

ჯარი ქისიყს, მაღაროს და დადგა მუნ, რათა ნებისაებრ თჳსისა დაიპყრას კახეთი, ხოლო სცნა რა ზაკულება მათი მეფემან თეიმურაზ, შემოიკრიბნა კახნი, მივიდა ღამე და თავს დაესხა და გაიმარჯუა ოსმალთა ზედა, და მრავალნი ოსმალნი მოსწყჳდნეს და წამოვიდა უსუფ ფაშა მეოტი, და მიერითგან ვერღარა იკადრეს ოსმალთა შესვლა კახეთად, და ამასვე ჟამსა მოსულიყო თამაზ-ხან განჯას, რომელსა ეწოდა შემდგომად ნადირშა, და რა ესმათ ესე ქართუჱლთა უკუდგნენ ოსმალთა, ქართუჱლ-კახელნი, და განჯას თამაზ ხანთან ჩავიდნენ, და რა ისილეს ოსმალთა უკუდგომა ქართუჱლთა ამისთჳს გაიერთეს ლეკნი, და მოიყვანეს ლეკის ჯარები, და აოხრებდნენ ქართლსა და კახეთსა, და სომხითს საბარათიანოსა და ასე აღაოხრეს რომელ არღარა იპოებოდა შენობა ქართლსა, და სომხით საბარათიანოსა თჳნიერ ციხეთა, და სიმაგრეთა კიდე,

და კახეთიდამაც გალეკდნენ ქიზიყელნი, და გაღმა მხრელნი, და მისცეს პირი ლეკთა, გარნა დაადგრნენ მტკიცედ თავადნი, და აზნაურნი, და შივნით კახნი სარწმუნოებასა ზედა, და გაამაგრეს თელავი და ალავერდი, და შეკრბენ მას შინა ვიეთნიმე თავადნი და აზნაურნი, შეეხვეწნენ ფშავ ხევსურთა და შეაწუხეს ლეკთა ქიზიყი. და გაღმა მხარნი. რომლისაგამო ვერღარა შეუძლეს მოთმენა, და ულალატეს მენ მეოფთა ლეკთა, და მრავალნი ლეკნი მოსწყვიტნეს და მოიყვანეს მეფე თეიმურაზ ფშავიდამ, და დასვეს მეფედ კახთა.

წელსა ჩღლე, მოვიდნენ ლეკნი და ქიზიყი მოარბიეს, ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი მაშინ იყო წლისა, იე. (ათხუთმეტისა) რომელმან, შემოიყარა სოფლებიდამ ჯარი მოეწია ნეიშნის მინდორში, და ძლიერად შემოებნენ ლეკნი, გარნა თჳთ ეს უმაწჳლი ძე მეფისა თეიმურაზისა ირა-

კლი მეორედ შიგან ჯარში შევიდა, და პირველად ამან მოკლა ლეკი, და ამის მხილველთა კაცთა ერთ-პირად მიმართეს, და დაამარცხეს იგი ლეკის ჯარი! გააურჩევინეს ტყუჱნი და საქონელი, და მოვიდა მალაროს გამარჯუჱბული, რომლისათჳს ფრიად მხიარული იქმნენ კაცნი, იხილეს რა ესეთი სიმხნე და მალი მეფის მის მემკჳდრისა თჳსისა.

ამასვე წელსა, ჩღლე, ნადირშამ დემურტაშზედ სარასკარი დაამარცხა მაისის ით, და ივნისს ია, ტფილისს მყოფთ ოსმალთ ნადირშას წიგნი მოუვიდათ, სარასკარზე გავიმარჯუჱ და თქუჱნ რასა იქმთო, ივნისის, ლ. ოთხშაბათს დღეს ოსმალნი ტფილისიდამ გავიდნენ და ოკტომბრის, ვ, ნადირშა ტფილის ქალაქს შემოვიდა, კე. ქალაქიდამ გავიდა, და კახეთი მისცა მეფესა თეიმურაზს, და მეფობა ქართლისა ძმის წულისა მეფის თეიმურაზისასა, ალიხანს, და

იგი თან წაიყვანა, ხოლო ტფილისს ქალაქსა შინა დასვა სხუა ერთი ხანი ყიზილბაშისა.

წელსა, ჩღლვ, ნადირშას სეფიხან სარდალი გამოეგზავნა ქართლში, ამან მოუწოდა მეფეს თეიმურაზს კახეთიდამ, და ქართუელნიც შეკრიბნა ქართლში ფხვენისის სოფელში სადაცა ულალატეს მეფესა თეიმურაზს. და დაიჭირეს ყიზილბაშთა, და ამასთანავე დაიჭირეს გივი ამილახვარი, არაგვის ერისთავი ბარძიმ, და თარხანი ლუარსაბ, და ესრეთვე კახნიცა, დაიჭირეს ჩოლაყაშჳლი სალთხუცესი გივი, ქისიყის მოურავი ქაიხოსრო, და წაიყვანეს ესე ყოველნი სპარსეთში, და ისპაანს რომ მიიყვანეს იქ პყრობილობითაგან განათავისუფლა, და პატივით შეიწყნარნა, გარნა ამ ჟამად ნადირშა ყანდაარს წაბძანდა, და მეფე თეიმურაზცა თან წაიყვანა და ვინც ქართუელნი და კახნი თან ახლდნენ, ისინიც

თან იახლნა ყანდაარს, და ოდეს მიიწივნეს ყანდაარად, მაშინ მეფესა თეიმურაზს გამოუცხადეს შენი შჳლი ირაკლი დაიბარე და ის რომ ჩამოვა მაშინ თქჳჱნკი დაგითვოვთო, ვინაჲდგან ხედვიდა ქართჳჱლთა მხნედ, ამისთჳს თჳთ ნადირშამან მოსწერა წიგნი დაბარებისა ირაკლის და დაიბირა ქართჳჱლნი, და კასნი, სოლო მსმენელთა ამისთა ქართჳჱლ კასთა ერთ პირობით არა ინებეს წარსვლა ირაკლისა სპარსეთად, რომლისათჳს შეიყარნენ ქართჳჱლნი და კახნი, და არა უშვებდნენ მესა მეფისა თეიმურაზისასა ირაკლის, გარნა არა მისედა პატივსა და დიდებასა ამის სოფლისასა, არამედ სათნო ეყო ბრძანებასა მამისასა, და დიდად შორს დაიჭირა წაუსვლელობა თჳსი, და თქჳა მამა ჩემი იქ უნდა ჰყჳანდეს, ჩემის იქ წასვლით გამოუშვებდენ და მე ამაზედ დავბრკოლდეო და არ წავიდე ეს ჩემგან არ იქნებაო·

წელსა, ჩღლზ, ირაკლი წარვიდა ფეჰერ-ვალში ნადირშასთან, და ყანდაარს ჩავიდა, ნადირშას ყანდაარი მარტის თექვსმეტს აეღო, და ოდეს მივიდა ირაკლი მაშინვე წინაშე ნადირშაჲსა წარადგინეს, და ნადირ-შამ ლაპარაკი დაუწყო ირაკლის, და ჭკით-ხა ბრმანების გვარად სამიშარის სახითა არ გათათრდებიო, ხოლო. ვითარცა მოწა-მემან აღჳარა მძლავრისა წინაშე, ქრისტე, და მოახსენა წელიწადითა და დღითა ყმა-წჳლმან, ხოლო გონიერებითა ბრძენმან, ჩემი სიკჳდილიკი შეგიძლიან, და ესკი არ შეგიძლიან რომ მე ქრისტე მაგმობინოო. არას მიზეზით ჩემი თათრობა არ იქ-ნებაო,შემდეგ ნადირშამ-უბრძანა ნუ გეშინი-ან მე შენ მაგაზედ მალას არ დაგატანო მეორეს დღეს მეფე თეიმურაზ ქართჳჱლნი და კახნი მოიყვანნა, ყოველნი დაითხოვა, და საქართჳჱლოში გამოისტუმრნა. თჳთ ნა-დირშამ ინდოეთსედ გაილაშქრა, და მე მეფისა

თეიმურაზისა ირაკლი თან წაიყჳანა, ჩავი-
და ინდოეთს, ინდოეთის კელმწიფე, აჰმად-
შაჰ შემოება სამასის ათასის კაცითა, გა-
რნა ნადირშას გაემარჯჳა, და მთელი ინ-
დოეთის საკელმწიფო დაიპყრა, იქიდამ გა-
მობრუნდა და სინდეთს შევიდა, და
სინდეთის სამეფო, დაიჭირა, გარნა სინდე-
თში დიდი ომები გარდაიხადა, და ყოველ-
თა ამა ბრძოლათა და ომებსა შინა თან
ხლებით დასწრებულ-იყო ძე მეფის თეი-
მურაზისა ირაკლი ნადირშასთანა, რომელ-
მანცა ფრიად მოაწონა თავი თჳსი სიმ-
ხნითა და სიკასკასითა, და დიდათაც შე-
უყვარდა, ნადირშას ძე მეფისა თეიმურაზი-
სა ირაკლი, აქედამ გამობრუნდა და მო-
ვიდა ყანდაარს.

წელსა ჩღლთ, ნადირ-შაჰ ყანდაარს მო-
ბძანდა, და ვინადგან მადრიელ იყო ნადირ-
შა მეფის ძის ირაკლისა, ვითარცა აჩჳენა
სიმხნე და ერთგულება ამისთჳს უბძანა

ნადირშამ მეფის მეო ირაკლი შენს ქჳე-ყანას ეჭიროჳეში, და ნება მომიცია წადი შენს ქჳეყანაში, და მარადის ჩჳენის წყა-ლობისა მოიმედე იყავიო, მადლობა მოა-ხსენა, მაისის კჱ, ყანდაარიდამ წამოვიდა და სეკტემბერს, იგ, ღამისა ოთხი საათი იყო გასული რომ კასეთს ალავერდს მობ-ძანდა, ამ ჟამად ნადირშა თურქისტანზედ წაბძანდა, ბალხი ბუხარი, ორგანჯი სამარ-ყანდი, და მთელი ქურტისტნის სამეფო სრულებით დაიჭირა, და იქ რამდენიმე ხა-ნი დაუგვიანდა, იქიდამ გამობრუნდა ნადირ-შა, და დაღისტანში მოვიდა ძლიერის ჯა-რით, და შეამჭირვა ლეკნი, და დაღისტნე-ლნი ძლიერითა ბრძოლითა; და ეგრეთვე ქართჳელნი სურსათისა თხოვითა, რომლი-სათჳს განდგნენ ნადირშასაგან ვიეთნიმე ქართჳელნი, და მოიყჳანეს ლეკის და ოს-მალის ჯარები, აოხრებდენ და ატყჳებდენ ერთმანეთს, ვინაჲდგან ველარა შეუძლეს

სამსახური ნადირშაისა და ტფილისს მჯდომი ხანი ნადირშაისა, ებრძოდა მარადის ქართჳჱლთა, და აოხრებდენ მარადის ორნივე მხარენი ქართლსა და ესე ყოველნი აცნობა ტფილისს მჯომმან ხანმან ნადირშას, ხოლო იგი განძჳნდა საქართჳჱლოსაზედა და განიგულა აყრა და მოწყჳჱტა ქართლ-კახეთისა ხალხისა. ხოლო სცნა რა ესე მეფემან თეიმურაზ, წარავლინა დედოფალი თამარ, ასული მეფისა ვახტანგისა ვედრებად ნადირ-შასთან, რათა არა ასწყჳტოს ქართლ-კახეთისა ხახლი და დასცხრეს მრისხანება მისი ქრისტიანეთა ზედა, ხოლო მივიდა რა დედოფალი თამარ დაღისტანში ნადირშასთან და ეჳჱდრა აუყრელობასა ქართლ-კახეთისასა და ესრეთვე აცნობა უცოდველობა ქმრისა თჳსისა, მეფისა თეიმურაზისა და ეგრეთვე ერთგულება მისა თჳსისა ირაკლისა, რომლისათჳს მეის თანად მოლმობიერდა მძლავრი

იგი და პატივისცა დედებრ, და ყოჳჱლნი თხოვილი აღუსრულა, გამოუტევა დიდითა ნიჭითა და მოვიდა კახეთს, და მოწერა ნადირშამ ტფილისს მჯდომს ხანსა უკუმდგართა ქართჳჱლთა ზედა ბრძოლა და აოხრება. მივიდა ესე ტფილისს მჯდომი ხანი ყიზილბაშისა ჯარით და შემოადგა აწერის-ხევსა, შემუსრეს აწერის ხევი და გამოიყვანეს ქსნის ერისთჳს შანშეს ცოლ-შჳლი და ძმებისა მისისა, ხოლო შანშე ივლტოდა ახალ-ციხეს, გარნა სთხოვეს იგი ყიზილბაშთა და მოსცეს შანშე დაჭერილი ოსმალთა და შეიპყრეს ძმაცა შანშესი იესე, და წარგზავნეს ცოლ-შჳლით ხორასანს და დაიპყრეს ქსნის-ხევი და მამული შანშესი გივმან ამილახვარმან. ამ ჟამადვე მოკლეს არაგვის ერისთავი ბეჟან, ყმათა თჳსთა, და გამოამეს სახლის კაცნიცა მისნი, და დაიწყო გივმან ამილახჳარმან დაპყრობაცა არაგვისა საერისთო-

სა, მოიცა მალი ოსმალთაგან და განდგა ყიზილბაშთაგან, და ესე ყოველი ამცნო ტფილისს მჯდომმან ხანმან ნადირშას, გამოუცხადა ერთგულება მეფისა თეიმურაზისა და ძისა მისისა ირაკლისა. ნადირშამ უბოძა არაგვის საერისთო მეფეს თეიმურაზს, მოუმცნო ბრძოლა და კირთება გივის ამილახვარისა, ხოლო გივსა აქუნდა ქსნის-ხევისა გამაგრებულნი ციხენი და ჰყვანდა ბიძა შვილი თვისი რევაზ. ეზრახნენ მეფენი ამ რევაზსა, აღუთქვეს წყალობა უკეთუ მოსცემს ციხეთა და მოსცა რევაზმან ციხენი ქსნის ხევისანი, და დაიპყრეს ქსანიცა მეფემან თეიმურაზ და ირაკლიმან, მრავალთ ბრძოლა და ომები გარდაიხადეს, ვითამე ქართველთა თავადთა მიუწოდეს, ძესა მეფისა თეიმურაზისასა ირაკლის. წარვიდა ირაკლი სამასისა კახელისა კაცითა და წარიყუანა ლეკნიცა, შემოეყარნენ რაოდენიმე ზე-

მო საქართველოში თავადნი ირაკლის ძესა მეფისასა, მივიდნენ და დადგნენ ცხინვალის ზევიდამ აბო წმინდასა. სცნა რა ესე გივმან ამილახვარმან სურამს მდგომმან, შემოიყარა ოსმალისა და ლეკის ჯარნი ვიდრე ხუთი ათასამდე, და ვიეთნიმე ქართველნიცა შეეწეოდნენ გივს ამილახვარს, მოვიდნენ ღამე და დილას ბინდისასა დაესხნენ ძესა მეფისასა ირაკლის, ეკვეთა ირაკლი ძლიერად და ფიცხელი ომი მოუსვდა, გარნა მოსცა ღმეთმან ძლევა, ირაკლის ძესა მეფისასა გაემარჯვა, ლტოლვილნი იგი ოსმალ-ლეკნი წარვიდეს გივითურთ სურამისაკენ, ხოლო მეფის ძე ირაკლი წაბძანდა კახეთად და მეფე თეიმურაზ მიბძანდა ზემო ქართლში, და ერეთს დაგდა, ამ ჟამად ძველი ყაენის შვილი ლტოლვილ იყო ნადირშასაგან, დაღისტანში იმყოფებოდა, ამან დაღისტნელი ლეკები გამოუძღვარეს და ხონთქართან გაისტუმრეს, წარმოიყვანეს

ჩ042-12-

და ქსანზედ გივი ამილახვარი ეგულვებოდათ და იქ მივიდნენ, სცნა ესე მეფის ძემ ირაკლიმ კახეთს მყოფმა და ფიცხელად გამოუდგა, მოეწია ქსანზედ ყანჩაეთს და იგი ყაენის შვილი დაიჭირა, წაიყვანა და ერე-დვს თავის მამას მეფეს თეიმურაზს მიართვა. მეფემან თეიმურაზ მაშინვე თავისი შვილი ნადირშასთან გაისტუმრა და იგი ყაენიც თან გაატანა, ამ ჟამად ნადირშა ოსმალთ მუსურსა ბრძოდა, და მიესმა რომ შირვანი უკუდგა. ყაენის შვილი მიიყვანეს, დაღისტანიც ითან-ხმაეს და გააკელმწიფესო, ამისთჳს თავიხი შვილი ნასრული მირზა გამოისტუმრა დიდის ჯარით და მტკვრის პირზედ რომ მოვიდა შირვანში გასასვლელად, იმ ჟამად მეფის ძე ირაკლი მივიდა და ყაენის შვილი დაჭერილი მიართვა, რომელმანც ფრიადი მადლობა უბძანა და ესე ყოველი მისწერა მამასა თჳსსა ნასრულა მირზამ. ვიდრე მისვლამდე ამისსა ნადირ-

შა მუსულიდამ წამოსულიყო და ესე ანბავი გზაზედ მიუვიდა, რომელმანცა მოსწერა წიგნი მადლობისა მეფეს თეიმურაზს მოუბოძა ათი ათასი ოქრო და მოუმცნო ტფილისში მჯდომს ხანს ყი-ლიზ-ალიხანს, მეფის თეიმურაზისათჳს ისტიარობა მიმიციაო და ყოველს საქმეში მაგას უნდა ჰკითხევდეო, თჳთონ ნადირშა აქედამ გაბრუნდა და ყარსის ციხეს შემოადგა, ხოლო ნასრულა მირზამ მოსცა მრავალი ნიჭი მეფის ძეს ირაკლის და გამოისტუმრა დარწმუნებულისა სიტყჳთა, შენ წადი, რადგან ახლა შენს ქვეყანას ეჭირვებიო იქ მიეშველე და ამის მაგიერს წყალობას მალე მოელოდეო.»

წელსა ჩღმდ, წარმოავლინა ხვანთქარმან უსუფ-ფაშა სპითა დიდითა, და წარმოატანა საზინა, რათა წარგზავნოს იგი დაღისტანსა შინა და მით გამოიყვანოს დაღისტნის ჯარი, და ამათ მოეხმაროს;

ამილახვარი გივი და ჳსტუფ-შა. რუისს და-
დგნენ, ხოლო ესე სცნა რა ტფილისს მჯ-
დომმან ხანმან ალიხან, ამან აცნობა მე-
ფესა თეიმურაზს და წარმოვიდა სწრაფად
კახეთის ჯარით. მოვიდა ალიხანისა-თანა
და ხანმაც შემოიყარნა ქართჳელნი, მივი-
დნენ და დადგნენ გორს, მოვიდნენ ოსმა-
ლნი თედოწმიდას და გავიდნენ გორიდამ
საომრად ყიზილბაშ-ქართჳელნი, ეკჳეთ-
ნენ ძლიერად, გარნა იძლივნენ ოსმალთა-
გან ყიზილბაშ-ქართჳელნი, გამოაქციეს,
მოჰყჳნენ გორს გალავნის კარებამდე,
გაბრუნდნენ ოსმალნი და დადგნენ რუისა-
დვე, მაშინ მოიყჳანეს დაღისტნის ბელადი
მალაჩი და მიაბარეს დაღისტანში გასაგზა-
ვნი ხაზინა, და ესე მალაჩი იყო ამ ჟა-
მად დაღისტნის პირჳელი რჩეული ბელა-
დი, და ყოველნი დაღისტნელნი მორჩილ-
იყჳნენ მისა, ესე წარუძღჳანეს ორი ათა-
სის ლეკით, და წარიტანეს ორი ათასი

ოსმალი, და გაისტუმრეს დაღისტანში, ესე მიუწერა ხანმან ირაკლის მესა მეფისასა დი აცნობა ყოველნი ყოფილი, წარმოემართა ირაკლი მსწრაფლად და შემოიკრიბნა რაოდენიმე სპანი კახეთიდამ, ორასნი ყიზილბაშნიცა მოერთჳსნენ ტფილისიდამ, და ამა შეკრებულთა ჯართაგან შეუკრა არაგვის პირი, მოვიდნენ რა დილას ოსმალ-ლეკნი და დაიწყეს გამოსვლად არაგჳსა, მაშინ ეკჳეთა ირაკლი მე მეფისა და იქმნა ბრძოლა ძლიერი, შეკრეს სამგორი ლეკთა და საჳალით არაგჳს პირთა დაიწყეს მუნიდგან ძლიერად თოფთა ცემაჲ და დარჩა მე მეფისა ირაკლისა არაგვის გამოღმა, აღმოსავლეთით კერძო, რომელ არაგვის მდინარე მაშინ განდიდებულიყო, უფონოდ არ გაისვლებოდა და განგრძელდებოდა თოფთა ცემა ამიერ და იმიერ, მაშინ შეუხჳდა მე მეფისა ირაკლი არაგვს, და პირჳელ ყოჳელთასა თჳთ

განვლო ფონი იგი, ხოლო მსილველთა სპათა არა რიდეს მას საშინელსა წყალსა და განჰყვნენ ყოველნი სპანი თჳსნი და იქმნა ბრძოლა ძლიერი, ვინაჲდგან ოსმალ-ლეკნი, უმეტესობდენ, გამხნებულსა ომსა ამას შინა, პირველ მიუხვდა თჳთ ირაკლი, მეფის მე. დაღისტნის პირველი ბელადი მალაჩი თჳთ ამან მოკლა იგი, სიკვდილისა მისისათჳს იძლივნენ ოსმალ-ლეკნი, მიუვნენ ესენიცა, ვიდრე ქსანს გაღმა ოკბადმდე, მრავალი მოკლეს და დაიჭირეს, მივიდნენ ესე ლეკნი და ოსმალნი დამარცხებულნი რუისს უსუფ-ფაშასთანა, გარნა ფრიად შეშინებისა-გამო მასვე ღამესა აიყარა უსუფ-ფაშა ვითარცა მეოტი, მეფე თეიმურაზ და ყიზილბაშნი გამოუდგნენ ოსმალთა, გარნა ველარას ეწივნენ და ესე ყოველი ყოფილი და ქმნილნი ირაკლისაგან, ჩანმა მიუწერა ნადირშას, მან დაუმადლა და მხიარულ იქმნა, წარმოუვლინა

ცხენი ოქროს აღკაზმულებითა, ხმალი მძი-
მეთ მოჭედილი, და მოუბოძა ქართლის
მეფობა მეფესა თეიმურაზს, და კახეთის
მეფობა ირაკლის ძესა მეფის თეიმურაზი-
სასა, წელსა **1744**.

ამასვე წელსა, ზღმდ, ნადირშა ყარსი-
დამ გამობრუნდა, სცნა მეფე თეიმუ-
რაზმა, და წინ მიეგება, აზოცს, რომელ
არს ყაიყული, იქიდამ მობრძანდა ბორჩა-
ლოს, დებედის პირზედ, გოგთაფას, დადგა
მუნ რამდენსამე დღესა, იქ იდგა, ხოლო
აქა მობძანდა დედოფალიცა თამარ, და
კახეთით ირაკლი, რომელთაცა დიდად პა-
ტივსცა, უმეტესის პატივით მიიღო, ამ ჟა-
მად ევედრნენ მეფე თეიმურაზ, მეფე
ირაკლი, დედოფალი თამარ, სთხო-
ვეს ერისთავი შანშე, ძმის წული და
საკელოვანი მისნი, მოანიჭა, ვითარცა მი-
უწერა წიგნი ხორასანს ხანთან, განთავი-
სუფლებისა მათისა, და გამოტევებისა, ნა-

დირშაცა გაბრუნდა ყაზახზედა, განჯაზედ ჩაიარა, მუღამს ჩავიდა, იქ რამდენსამე ხანს დადგა, მოვიდა შანშეცა ხორასნიდამ სახლეულით თჳსით და მეფემან თეიმურაზ, მეფემან ირაკლიმ ოსმალთაგან წართმეულნი მამულნი თჳსნი, და ერისთაობა ქსნისა მიუბომეს შანშეს.

წელსა ჩღმე, გივმან ამილახვარმან სურამის ციხე გაამაგრა ძალითა ოსმალთათა, და შევიდა მიერ, და დადგა მუნ, მივიდა მეფე თვიმურაზ და მეფე ირაკლი, ბრძანებითა ნადირშაისათა. ერთი ყიზილბაშის ხანიცა ჯარით, რომელსა შემოადგნენ, რამდენსამე თჳჱს უკან გამოიყუჳანეს ციხიდამ დაჭერილი და ნადირშასთან გაგზავნეს.

წელსა ჩღმზ, ნადირშა განრისხდა ყოველსა სამფლობელოსა თჳსსა ზედა და საქართჳჱლოსაც არბაბი შემოაწერა ვითარცა სხჳა ქჳჱყნებსა, ამასჳჱ წელს მოკლეს ნადირშა ყიზილბაშთა, ძმის-წული

მისი ადილ-შა გააჴელმწიფეს, ამან დაიბარა მეფე თეიმურაზ, მეფემან თეიმურაზ ქართ-ლი მიაბარა ძესა თჳსსა მეფესა ირაკლის, გარნა დავჳედრა საქმისა კითხჳა იესე მე-მეფის აბდულა-ბეგისაცა, ამან აბდულა-ბეგ-მან გარდაიბირნა რაოდენნი ქართჳელნი სომხით-საბარათიანოდამ, სხჳანიცა, უკუდგა ირაკლი მეფესა, მოიყჳანეს ყიზილბაშის ხანი, სააბ-იხტიარი ჯარით ამას მოჰყჳნენ, განჯა ყარააალის ხანები, დაღისტნის ხანი, აზატ-ხან და საქართჳელოს ელები, შამ-შადინი, ყაზახი, ბორჩალუ, დემურჩასალუ, ბაიდარი და სხჳანი ყოველნი სურდა მოი-მაღები, მოვიდნენ ტფილისს სიახლოვესა ქალაქს, მხილჳელი ამისი მეფე ირაკლი გავიდა ურიდად მცირისა ჯარითა, ეკჳეთა ძლიერად, მოსცა ძლეჳა ღმერთმან მეფესა ირაკლის, გაემარჯჳა და წავიდა აბდულა-ბეგ მეოტი, შევიდა ციხესა ხამშჳლდისასა, და გაამაგრა იგი.

წელსა ჩღმჱ, ვარდიბირნა ქალაქის ციხის მცჳჱლნი მეციხოჳნენი აბდულა-ბეგმან, უკუუდგნენ ირაკლი მეფესა და უცნობელად საქმისა დაიწყეს ციხიდამ თოფთა და ზარბაზანთა სროლა ტფილისის ქალაქსა შინა, ხოლო შემოადგა მეფე ირაკლი ქართლისა და კახეთის ჯარებით, უმეტეს ტფლისის მოქალაქენი ჰბრძოდნენ ციხესა, მტკიცედ ჰსდგეს ერთგულებასა ზედა მეფისა ირაკლისასა, აბდულბეგმაც შემოაშჳჱლა ციხეში ხუთასი ლეკი, იყო დღე ყოველ ბრძოლა. ამ ჟამად მოვიდა დაღისტნის ბელადი ყოჯახ დიდის ჯარითა და ავჭალები დაარბია, ტყჳჱ და საქონელი წაიღო. რა ესე სცნა მეფემან ირაკლიმ, რაც ჯარები ჰყჳანდა ტფილისის ციხეს საბრძოლველად დაუტევა და თჳთონ ორასის კაცით სატიოზედ მტკჳარში გასცურა და ყოჯახ ბელადს გამოუდგა, მდევრულად ქიზიყის ჯარიც შემოეყარა, ნაჳრის სოფლებიდამ,

გადაასწრო ქისიყის ბოლოს, შეება შირა-ქში ყოჯახს, ფიცხელი ომი მოუხჳდათ, მოსცა ღმერთმან ძლევა მეფესა ირაკლის და გაემარჯჳა, მრავალი ლეკი მოკლეს, ტყჳე ყჳელა, საქონელი სულ დააყრევინეს, გამობრუნდა მეფე ირაკლი, იქავე შირაქის თავში დედოფლის წყაროზედ მობძანდა, იქ დადგა, ეს ყოჯახ გარდარჩომილის ჯარით წავიდა, ამათ სხჳა დაღისტნის ჯარი შე-მოეყარათ, ახალი მომავალი, ამა დამარც-ხებულთა ყოველი თავისი თავის გარდასა-ვალი უამბეს, ამ ახალმან ჯარმა უთხრა ყოჯახს ბელადსა, თუ იმ თქჳენს ნაშო-ვარს საქონელსა და ტყჳებში წილს და-გვიდებთ, დღეს ისინი ვერსად გაგვიხწრო-ბენ, ჩჳენც გიშჳელით, მოვეწევით და ისე გაჳაყრევინებთო. რა ესე ყოჯახს უთხრეს ეს ფრიად გამხიარულდა, კჳალად შეითქვნენ, წარმოვიდნენ, იმ ღამეს იარეს და მეორე დილა რომ გათენდა დედოფლის წყაროზედ

მოვიდნენ, და მეფესა ირაკლის თავს დაე-
ხსნენ, გარნა ძლიერი იგი დ~ მხნე ირა-
კლი მეფე უწინარეს ყოველთა შეჯდა ცხენ-
ზედ და თჳთ ესროლა თოფი, ყველაზე
უწინ მოკლა ლეკი, და უბძანა ჯართა
მხნედ შეტევება, ვითარცა უმეტეს პირჳე-
ლისა დაამარცხეს იგი ლეკთა ჯარნი, მრა-
ვალნი მოსწყჳტნეს, წარმობძანდა იქიდამ
ტფილისის ციხე აიღო, და თავისი მეცი-
ხოვანები დააყენა, წარმობძანდა, სამშჳლ-
დის ციხე აიღო და მობძანდა გამარ-
ჯჳებული ტფილისად.

(განგრძელება იქნება შემდგომ წიგნში.)

## ნ...... დში......

მნათობო თჳთ შენ აღმიხსენ, რა მემართების რასა ვგრძნობ?
როს გხედავ, რათა ვჰსწითლდები, რად ვჰკრთები, ვშიშობ და ვხარობ?
მაშინ რად ენა დუმდების, როს შენთან უბნობას ვჰსცდილობ?
და რასთჳს ნაცვლად სიტყჳსათა, მხოლოდ ოხვრათა ვმეტყჳელობ?

მრავალჯერ ვფუცავ არ გნახო, მარამ ყოველს ჟამს გეძიებ!
როს გხედავ, გულსა სახმილსა, მდუმარედ მყოფსა აღმიგზნებ;
მაშინ მე შმაგი ყოველთა გარე ჩემს საგანთ ვივიწყებ,
ხანა ვჰსწყევ შენთა სიტურფეთ, და ხანკი მითვე ვაღმერთებ!—

მრავალ გზის ვჰფუცავ გივიწყო და ვქნაცა ნება გონების;
მარამ როს გხედავ, გონების რჩევა სრულიად არ მესმის!

გული ჴელმწიფობს და უფრო უძლიერესად შენ გეტრფის,
და გულის მონად შექმნილი, გონებაც შენდა მოფრინვის!

თ. გრიგოლ ორბელიანი.

---

## ფიქრი მტკჳრის პირზე.

(თ. ნიკოლოზ ბარათოვის ლექსებითგან.)

წარველ წყლისა პირს, სევდიანი, ფიქრთ განსართველად.
იქ ვეძიებდი ნაცნობს ალაგს განსასვენებლად;
იქ ლბილს მდელოზე სანუგეშოდ ვინამე ცრემლით;
იქ ყოველივე არე-მარეც იყო მოწყენით.,..
ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა,
და მისს ზვირთებში ჰკრთის ლაჟვარდი ცისა კამარა.
იდაყვ-დაყრდნობილ ყურს ვუგდებ მე მისსა ჩხრიალსა,
და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა...
ვინ იცის მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთჳს რას იტყჳ?
მრავალ-დროების მოწამე ხარ, მარამ ხარ უტყჳ!....
არ ვიცი ამ დროს, ჩემს წინაშე, ჩუენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?....
მაინც რა არის ჩუენი ყოფა, წუთი სოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვისიც გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს!
თჳთონ მეფენიც, უძლეველნიც, რომელთ უმაღლეს
არც ვინღა არის და წინაშე არც ვინ აღუდგეს,
რომელთ ჴელთ უპყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება,
შფოთვენ და დრტვიან და იტყჳან: როდის იქნება

ის სამეფოცა ჩემი იყოს? და აღიძვრიან
იმავ მიწისთჳს, რაც დღეს თუ ხვალ თჳთონ არიან...
თუნდ კეთილ-მეფე როდის არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე, ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული,
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავისს მამულსა, თჳსთა შჳლთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევად თჳს სახელი შთამომავლობას?
მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს,
მაშინ ვინღა სთქჳას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?...—

. . . . . . . . . . . . . . . . . . . .

მაგრამ რადგანაც კაცთა გვქვიან შჳლნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა:
არც კაცი ვარგა. თუ ცოცხალი მკჳდარსა ემსგზავსოს,
იყოს სოფელში და სოფელსკი არარა არგოს.

**1837** წელსა.

---

## მოხუცის მოგონება.

სიყრმისა ჟამნი განქრნენ ვით წამნი,
სიკჳდილსა ვუცდი;
წარვიდენ წელნი ტკბილ-სანატრელნი,
ვაჲ, მოვხუცდი!
შეკრთა სხეული, იჩაგრა გული
ერთს დროს მხურვალე;

ცრემლი მხოლოდღა დამრჩა ნუგეში,
ყოვლად ვიცვალე!
ერთს დროს სიყვარულს ცხად, ხან დაფარულს,
მეცა ვუმღერდი!
ის დრო ნეტარი ეხლა სად არი?
ვაჲ დავბერდი!
ერთხელ ვმონებდი და ვთაყვანებდი
მეც შავსა თვალებს,
მარად ვიცნობდი და მარად ვჰგრძნობდი
მე იმათ ძალებს!
სიზმარებრ ჩქარა დრომ გაიარა,
განქრა ყოველი!
ხალისი მანა თან წაიტანა,
ვაჲ, რას ველი!
ჩემსკენაც რბოდენ, მეცა მეტრფოდენ
ემაწჳლნი ქალნი
და წითლდებოდენ, როს შეხვდებოდენ,
მათ ჩემნი თვალნი.
სად არს ხალისი და ჟამი ისი,
მათ რომ წივნს ვსწერდი?

მოვიდა რიგი, განქრა დრო იგი!
ვაჲ დავბერდი!
მეც ვჯირითობდი, მეც ვხალისობდი
ცხენის ჭენებით;
ბევრჯერ ფერხული გვქონდა დაბმული,
და ვსტრიალებდი სიამოვნებით!
სიყრმისა ჟამნი განქრენ ვით წამნი
სიკჳდილსა ვუცდი;
წარვიდენ წელნი ტკბილ—სანატრელნი,
ვაჲ, მოვხუცდი!
ხშირად ვბედავდი და თორმეტამდი
კახური ღჳნო გარდმისვავს თასით!
ყანწ, აზარფეშა მზად სუფრის ქჳეშა
გვედგა გავსილი, ვჭვრეტდით ხალისით.
მაწვდენდნენ სასმოს სიტყჳთ «გაამოს!»
რა გადავჰკრავდი მეც «ალავერდი»!
სხჳასა ვეტყოდი იმავ სასმოთი.
დღეს მომეშალა, ვაი, დავბერდი!
მაშინ ამა დროს, ცუდს, არ სანატროს
არ მოველოდი!

სიკჳდილის კარსა მივადექ მწარსა,
გულს მხვდება ლოდი!
ოჰ, სიყმაწჳლე! რათ მომიმულე?
დროვ! რა მიყავი?
მოველი სიკჳდილს, საფლავსა გათხრილს,
კუბოს და სუდარს, ვაჲ და ვაჲ!!!

თ. აკ. წერეთელი.

## ლაფონტენი და ფუკე.

### (განგრძელება.)

საწყალი მამა ჩემი! წაიბუტბუტა დომინიკემ. მესმის, შენის დაუდევნელობით ყური არ გიგდია, თუ რა ანბავია ფუკეზედ... და შენთ მეგობართ აღარ მოჰყოლიათ იმდენი სული, გაეხეთქათ შენთჳს გული ცუდის ანბით.

საწყალო, მე შენ მაშინებ, შეჰსძახა ლაფონტენმა, და ათრთოლდა როგორც ფოთოლი.

ჩემს უბედურობასაც მაგის მეტი აღარა აკლდარა, რომ აგრე მომეწყლა შენი გული, უთხრა დომინიკემ.

განაგრძე, სთქჳ წვრილათ, რა ანბავია, უთხრა კიდევ ლაფონტენმა, და დაეშვა კრესლაზედ ისე შეწუხებული, ისე მოკლული, რომ იმის შჳლს დაავიწყდა თითქმის ყოველიკე სათქმელი და ფიქრობდა მხოლოდ იმაზედ, თუ როგორ უშველოს მამასა.

ღმერთო, მიეცი მას ძალი; მე ვალდებულ ვარ ბოლომდის შევასრულო ჩემი მძიმე ვალი. უნდა კიდევ ეთქჳა რამე, მაგრამ ხმა უწყდებოდა; იმის კეთილის გულითგან

ისმოდენ მხოლოდ ერთნი კვნესანი.

არა! სთქუა ბოლოს დომინიკემ, მე ვერ დავასრულებ იმის ანბავს, თითონ ფუკე გეტყჳს ყველაფერს. თქ̂ჳენი და იმის გული ისე არიან შექნილნი, რომ ერთმანერთისას მალე მიხუდებით. მამაო, მოუწოდეთ შემწეთ სრულიად თქ̂ჳენის ხასიათის სიმტკიცეს, ერთგულებას, სიყუარულს ფუკესას, და მერმეთ, როგორც იყოს, წაიკითხეთ აი ეს წიგნი.

ამოიღო იმ დროს ჯიბიდამ ის წიგნიც და მისცა მამას.

პოეტი გაუჯოლდა, როგორც სიკუდილი, რამდენსამე წამს იყო ისე, რომ ვერ გაბედა წიგნის გახსნა, გააგდო კელიდამ წიგნი, რომელიც დაეცა მუხლზედ, აიღო ისევ მთრთოლვარის კელით და ბოლოს დიდის ძალდატანებით გასტეხა ბეჭედი. პაკეტში, როგორც ადრე ვსთქჳთ, იყო ჩადებული ორი წიგნი: ერთი ლავალიერის სახელზედ და მეორე მის სახელზედ.

«მეგობარო ჩემო! სწერდა მას ფუკე, თქ̂ჳენ მნახეთ «მე ჩემს ციხე დარბაზში სრულსა ნათელსა შინა შემ-«ლებლობისასა, როდესაც თქ̂ჳენ ეს წიგნი მოგივათ, მე «მაშინ ვეგდები საპყრობილეში. მტერთა წამართვეს სიმ-«დიდრე, თავისუფლება და უნდათ ჩემი სიკუდილიც, და «კოროლი იქნება მრიელ შემცდარი, თუ რომ ერთი «მშუენიერი არსება არ თჳისრებს ჩემს შველას და არ «დაუმტკიცებს მას ჩემს სიმართლეს და უმანკოებას. ეს არსება არის ლავალიერი. მიუტანეთ მას აქ ჩადებული «იმის სახელზედ წიგნი. თქ̂ჳენ ამას სხუაზედ უკეთ «აღასრულებთ, ამიტო რომ თქ̂ჳენ ხართ ჩემს მეგობ-«რებში უპირველესი და სხუაც ვერავინ თქ̂ჳენში ეჭუს «ვერას შემოიტანს. და თუ განგებულებას აღარ ნებავს, «რომ ჩუენ კიდევ ერთმანერთი ვნახოთ, მაშინ ნუ დამი-

«ვიწყებთ მე, და მიიღეთ ამასთანავე უკანასკნელი ნიშანი «ჩჳენის თქჳენდამო განწყობილებისა და სიყჳარულისა. «ამასთანავე გიგზავნი ბრილიანტის ბეჭედს ათას პისტო-«ლეთ ღირებულს. მე ათი წელიწადი მქონდა ეგ იმ კელ-«ზედ, რომელიც ყოველდღე მეგობრულათ მოგიჭერდათ «ხოლმე თქჳენს კელსა. მშჳდობით!—ნიკოლოზ ფუკე.»

ოცჯერ შეისვენა, მანამ გაათავებდა იმის წაკითხვასა, ბოლოს აკოცა საჩუქარსა, და დაეშვა ისევ კრესლაში, როგორც მეხ დაცემული.

დომინიკეს ეჩჳენა, რომ მამა მისი კვდებოდა. მოეხჳა ყელზედ და მსხჳლის ცრემლით მოიყჳანდა მას გრძნობაში. მაშინ ლაფონტენმაც დაიწყო ტირილი, ადგა, იგრძნო უცეფ რაღაც შემსუბუქება და მოეხჳა შჳლს ყელზედ.

ფუკე გალარიბებულა! ფუკე საპყრობილეშია! მას ჰპირდებიან სიკჳდილსა!... ამბობდა იგი კვნესით. ეს შეუძლებელია, უთოვოთ სიზმარია... მითხარ საყჳარელო დომინიკე, მარწმუნე, რომ ეს ყველა სიზმარია.

არა, სწორეთ ჭეშმარიტია, მიუგო შჳლმა. მე თითონ ვნახე მუშკატერებმა (ჟანდარმებმა), რომ წაიყვანეს ის საპყრობილეში ნანტს. იმან მოასწრო მხოლოდ მაგ წიგნის მოცემა და თქმა, რომ მე შენ იმის მაგიერ გაკოცო.

მაშინ კიდევ მამაშჳლნი მოეხვეოდნენ ერთმანერთს მაგრა და განაგრძობდნენ საუბარს უსიტყვოთ, ოხვრით და კვნესით. ბოლოს დომინიკემ შეჰკრიბა იმდენი ძალა, რომ უამბო ლაფონტენსა თავისი მგზავრობა პარიჟში მატოტიერრაში, სოფლებში, მის საპოვნელათ; მიზეზნი, რომლისათჳს ფუკე ჩავარდა კოროლის რისხჳს ქჳეშ, ბოლოს მიპატიჟება მისი, მიღებული მეგობართა მისთაგან გამოსახსნელათ ფუკესა.

მერე? ჰკითხა ზღაპართ მწერალმა, გაცოცხლებულმა ახალის იმედით,

დამე ჩუჱნ შევეყარეთ ყარაულებსა. მე მოვასწარი მხოლოდ კელის მოკიდება ფუკესი კარეტაში, მაგრამ ორმოცდა ათმა ჴელმა გადამტყოცნა შორს; მე დავეცი და დავინახე, როგორც გააქანეს ფუკე.

ღმერთო ჩემო! წარმოიდუღლუღა ლაფონტენმა და დაიფარა ჴელი პირზედ, მერე საცინელის მოძრაობით დაიყჳრა. რა უბედური ვარ, რომ მე იმ დროს იქ არ ვიყავ. მე რომ იქ ვყოფილვიყავ, მრთელს ლაშქარს პირქუჵ დავცემდი და მოვარჩენდი ჩემს კეთილის მომქმედსა!

მე თითონ არ ვიცი განაგრძო დომინიკემ, როგორ ავდექი. სალდათებმა,რომელთაც ყურადღება იყო მოქცეული ტუკეზედ მე ვეღარ დამათვარიელს, და უშველე თავსა.

მე მოვბრუნდი პარიჟში და დიდის მღელვარებით გამოვართჳ მოლიერს ეგ წიგნი და გამოვაჩქარე შენთან... და ბოლოს როგორც იყო შენ გიპოვნე და აი ეს არის ჩემი უკანასკნელი ნუგეში, რომ მე შენ გხედავ.

კეთილშობილურათ მოქცეულხარ! საყუჱრელო შჳლო, შესძახა მამამ, ვცნობ შენში ჩემს სისხლსა! მომეხჳა, მაკოცე ჩემო დომინიკე!

ამ გვარმა მოძრაობამ მამობრივის სიყვარულისამ სამკურნალოს სახით იმოქმედა დომინიკეზედ.

ნეტავ თუ რა უყვეს ფუკეს? ჰკითხა ბოლოს ზღაპართ მწერალმა.

ამბობენ, რომ ვითომც ის ეხლა იყოს ბასტილიაში და მისნი მტერნი მსაჯულნი აპირებენ იმის საქმის გარდაწყუჵტასა.

ღმერთო ჩემო! სთქუა ლაფონტენმა, აღარ შეიძლება არცა ერთის წამის დაკარგვა.

არა თუ წამის, არც წუთისა, უთხრა დომინიკემ. ფუ-

კეს წიგნი თქჳენ უნდა გქონოდათ მიღებული ერთის კვირით ადრე, მეშინიან ვაითუ ლავალიერს გვიან მიუვიდეს ფუკეს წიგნი.

მაშინ პოეტი წამოხტა, რაცკი ღონე ჰქონდა და უცებ შეიცვალა ერთს წამში; სრულიად სხჳა კაცი გახდა. ამ ნიადაგ ზარმაცს და დაუდევნელს კაცს აენთო ცეცხლი სისხლში. გაუელვა თვალებში; ფეხებმა უწყო ჩქარა მოძრაობა, ჴელები მისი ეძებდნენ ქუდს და ხმალსა, ის ლაპარაკობდა ჩქარა და მოწყვეტით, როგორც ღენერალი წინეთ სროლისა.

წავიდეთ შჳლო, უთხრა დომინიკეს; შენ გყავს ცხენი, მე ვიშოვი მეორეს, და თუ ვინ იცის ვერ ვიშოვნე შემოგიჯდები უკან. ხვალ დილას ჩუჱნ ვიქნებით პარიჟში და შემდგომ იქ მისვლისა, ერთის საათის უკან ვერსალში. მე უფლება მაქუს გამოვცხადდე ჴელმწიფის სასახლეში. ჩემისთანა კეთილს კაცს ყოველგან კარი ღია დახვდება. ვნახავ ლავალიერს, მივაწევ კოროლამდისინაც... მე იმას მოვეხვევი მუხლებზედ. მე ვიცი, რომ მე იმას უყვარვარ, მე ხშირად მივცემდი ხოლმე შემთხვევასა სიცილისასა, იმისმა შჳლმა ჩემი ზღაპრები ზეპირათ იცის. მე ვეტყჳ კოროლსა ფუკე უბრალოა მეთქი, ფუკეს ცილი დასწამეს მეთქი. მომკალით მე და ფუკეკი დაიხსენით მეთქი. აბა შჳლო ცხენს მოახტი; ჩქარა დროით, ყოველი წამი ძჳრია ჩუჱნთჳს.

ამ დროს ცოლი ლაფონტენისა შემოვიდა და სთქჳა, ვახშამი მზათ არისო.

როდესაც შეხედა ქმარსა, სრულიად ველარ იცნო, ისე შეიცვალა ის რამდენსამე წამში, რომელიც იმ დროსაც იძახდა მაღლის ხმით: ცხენი, ცხენი, საჩქაროთ!

შენ ისევ მიდიხარ? ჰკითხა ცოლმა. სად მიდიხარ ვიცოდე მაინც.

პარიჟში, უთხრა მან, მშჳდობით ახალს ნახვამდე, უჳროდა ლაფონტენი.

ამ დროს ვილგელმიც მობრუნდა ისევ იმ კარეტით, რომელმაც ლაფონტენი მოიყვანა შატოტიერაში. კუჩერს გაეტარებინა ის დრო მახლობელს ტრახტირში.

მოგცემ მე შენ ათ პისტოლეის, უთხრა მას ლაფონტენმა, თუ ხვალ დილას ჩუჱნ ვიქნებით პარიჟში.

და აღშფოთებული ეძებდა რაღასაც ჯიბეებში, უჯრებში, შკაფებში, პორტფელში და უცებ განღჳძებულმა ახალის ფიქრით უთხრა დომინიკეს: მე მომივიდა ფიქრათ ეს ჩემი ლექსები წაუღოთ კოროლსა; იქნება ამათ მიიზიდონ მისი ყურადღება.

რომელი ლექსები? ჰკითხა დომინიკემ.

ეპისტოლე ზღჳს თევზებთან, მიუგო მამამ.

ღმერთო! იფიქრა შეშინებულმა დომისიკემ, ისევ ჭკუა დაბნეულია! ბუნება თავისას არ იშლის.

მაგრამ არა, საჭირო არ არის ამათი წაღება, ჰსთქუა ლაფონტენმა, მე გზაში დავსწერ სხუა ლექსებს თანახმად ახლანდელთ გარემოებათა.

ღმერთო, რას აპირობ? ჰკითხა ცოლმა, რომელსაც ეჩუჱნებოდა, რომ ქმარი მისი თითქო ჭკუაზედ შეშლილიყო.

ჩუჱნ მივდივართ ფუკეს საშველათ, მიუგო ცოლსა.— ილოცეთ თქუჱნ ყველამ, რომ ღმერთი ჩუჱნი შემწე იყოს. სთქუა ესე და ჩავარდა კარეტაში, რომელიც გაქრა ერთს წამში სქელს მტუჱრში.

დომინიკე მიზდევდა მას ცხენის ჭენებით. რაოდენისამე წამის შემდეგ ისინი ორნივე დაბრუნდნენ.

საწყალს პოეტს დავიწყებოდა წიგნი ფუკესი ლავალიერთან; მის ნაცვლად წაუღო ეპისტოლე თევზებთან.

ოჰ, ღმერთო ნეტავი ჭკუაზედ არ შევიშალო, ანბობდა

თჳთონ ლაფონტენი, რომელიც ჴელმეორეთ გაფრინდა პარიჟისაკენ.

მე შემცდარი არავარ, სთქჳა ლაფონტენის ცოლმა, როდესაც ვფიქრობ, რომ ის უსარგებლოთ დალუპავს თავსა და ფუკესაც ვერას უშველის. ამ გვარათვე ფიქრობს მოლიერიც. მაგრამ ვინ უნდა იყოს ეს უმაწჳლი კაცი; და როდის იქნება მე წვრილათ შევიტყო იმის ანბავი.

მეორეს დღეს კურიერმა მიიღო ათი პისტოლეი. ლაფონტენი და იმის შჳლი შევიდნენ პარიჟში რვა საათზედ დილით.

ყველაზედ პირჳელათ ისინი წავიდნენ მოკრუასთან სხჳა და სხჳა ცნობების შესაკრებელად. აქ მათ ჰსცნეს, რომ ჯერ დრობა არ იყო დაკარგული: ლუდოვიკ მეთოთხმეტე სრულიათ თავისის სვიტით (კრებით) იმ დროს წასულიყო სანადიროთ მარსელში, სადაც ვერა ვითარი ძალა ლაფონტენს ვერ მიიყვანდა; თითქმის მეფის შჳლებიც უნდა გამოცხადებულ იყვნენ იქ მხოლოდ მიპატიჟებით.

მოკრუა დიდად განცჳფრდა, როდესაც დაინახა თჳსი მეგობარი, რომელიც მან თჳთონ გაისტუმრა პარიჟიდამ, მაგრამ ის განცჳფრება გარდაექცა მას მძიმე შეწუხებად, როდესაც ლაფონტენი მოეხჳა მას კისერზედ და ჩასძახდა მხოლონ ფუკეს.

არა მიმხედი მისა, რომ ისიც ძრიელ ერთგული იყო ფუკესი, პირჳელად ინანდა, რომ გამოუცხადეს საიდუმლო ლაფონტენს, და აპირებდა ევედრებინა ამაზედ დომინიკისათჳს; მაგრამ პოეტმა დააჩუმა ის, მით რომ უჩჳენა ბარათი ფუკესი ლავალიერთან და მისნი გმირულნი მეცადინეობანი სასარგებლოთ მათის საზოგადოჲს კეთილის მყოფისა.

მაშინ სამთავ თავისუფლათ და დაუფარავად იწყეს

ლაპარაკი გამოჩენილს ჭორების მსხჳერპლზედ. ორივ მამაშჳლნი ძალდატანებით გამოჰკითხავდნენ პარიჟის ანბავებს.

ოხ! მე სრულიად არა ვიცირა, მიუგო მოკრუამ. სჳე ფუკესი დაფარულია ბნელის საიდუმლოთი. ისმის, ვითომც მისი მსაჯულნი ხშირათ შეიყრებოდნენ და რჩევაში იყვნენ ფუკეზედ. ზოგნი ამბობენ, ვითომც მას უპირობდნენ დაკარგვასა, ზოგნი—ვითომც სიკჳდილს, და ზოგნი ვითომც საუკუნოთ პატიმრათ ჩასმას.

შეწყალებაზედ, ანუ მის სიმართლეზედკი არავინ არას ამბობს? ჰკითხა ლაფონტენმა.

ჩუმათ, უბედრო! უთხრა მოკრუამ, რომ გაგიგონონ ეგ, შენც მოგელის ის რაც ფუკეს.

კარგი მე ამას ყველგან ვიტყჳ, უთხრა ლაფონტენმა, და თუ არავინ გამიგონებს, მაშინ მეც იქ გამგზავნონ, სადაც ჩემი მეგობარია!

მოკრუა ამაოდ ცდილობდა დაემშჳდებინა ლაფონტენი, ის ურჩევდა უარი ეთქჳა იმ აზრზედ, რომლითაც ფიქრობდა კოროლის ნახვასა, და დასჯერებოდა მას, რომ მიეცა წიგნი ლავალიერისათჳს. ვნახავ ერთსაცა და მეორესაც! დაიყჳრა ლაფონტენმა; პირველათვე კოროლს ვნახავ, რომ საჭიროდგან საქმე დავიწყო. სად შემიძლიან შევიტყო, მალე მოვა თუ არა კოროლი ვერსალში?

წავალ, გამოვკითხავ ამაზედ. მე წავალ პირდაპირ ლასაბილიერის ქალთან, რომელსაც უმზადდება დღეს დიდი საქმე, მე იქ ვნახავ ყველა პირუტყლს კარის ვაცებს. მე თქჳენ აქ მომიცადეთ, მე მოვალ ისევ აქ ერთის საათის უკან, ან არა და წავიდეთ ყველანი და ვისაუზმოთ ლასაბალიერთან, უთხრა ლაფონტენმა, აიღო ქუდი და ჯოხი და გააღო კარი.

მოკრუამ და დომინიკემ ერთმანერთს გარდახედეს.

მამაო! უთხრა დომინიკემ, თქვენ რომ მიპატიჟებუ-ლი არა ხართ.

მართლათ, უთხრა ლაფონტენმა, შეუსაფერი იქნება იქ წასვლა.

მე თავის დღეში არ მინახავს ლასაბლიერის ქალი და უყვარს პოეტები. ხომ უნდა გავიცნოთ როდისმე. და ის არა ჰსჯობს, რომ დღესვე.—ამასთანავე გუშინდელს აქეთ არა მიჭამიარა და ვკვდები შიმშილით.

ამ შერეულებამ მამაცობისა და სულ მარტიობისამ ნა-კმაოთ შეაძრწუნა მოკრუა.

კიდევ უნდა ეთქვა რამე მას ლაფონტენისათჳს, მაგ-რამ იმას კიბე ჰქონდა ჩამოვლილი.

დროზედ საყვარლებო, უძახდა ის კიბიდგან. მეტი ღონე აღარ იყო, უნდა გაჰყოლოდენ თან.

მაშინ მოკრუამ სთქვა, მართალია ლასაბლიერის ქალს ბევრჯერ უთქვამს ჩემთჳს, რომ მას ძრიელ სურს მისი ნახვა, იმან იცის, რომ ლაფონტენი არის უხიაკი კაცი მთელს საფრანგეთში, ის ქალი ისევ კეთილი და ჭკჳანია რომ სიხარულით მიიღებს მას, ისე როგორც ეხლა არის ლაფონტენი. მაგრამ მე მაინც კელს ვიბან ამ საქმისა-თჳს,

ნახევარ საათის შემდგომ მოკრუა და ზღაპართ მწერა-ლი ისხდნენ ლასაბლიერთან თჳთ ბრწყინვალე და უმაღ-ლეს საზოგადოებაში,

დომინიკე გამობრუნდა შუა გზიდამ, მაგრამ ლასაბა-ლიერმა იმასაც გაუგზავნა კაცი მიპატიჟებისა.

ლაფონტენმა აღარ დაუცადა, რომ ის მეგობარს იმი-სას წარედგინოს სახლის პატრონთან. მტვრიანის ტანი-სამოსით, კელში ჯოხით, პარიკით, გაავლო ხროვა სტუმრებისა, მივიდა პირდაპირ სახლის პატრონთან და მძიმეთ თავი დაუკრა ისე, თითქო ყოველდღე ენახა ისიმას

ოცის წლის განმავლობაში.

მოკრუა იჯდა ამ დროს კუნჭულში გაყვითლებული და გაწითლებული. მაგრამ ვითარცა ჭკვიანმა ქალმა, განამართლა მადლობა მოკრუასი და იყო აღტაცებული მარტივის ქცევით და მიმოხვრით ლაფონტენისა. მან მადლობა უთხრა მოკრუას, გამოართვა ალერსით ჴელი ლაფონტენს და წარუდგინა თავის სტუმრებსა, ასე რომ ზღაპართ მწერალი შეიქნა საგნად საზოგადოჲსა ყურადღებისა,

იციან მრავალთა, რომ ლასაბალიერი იყო უპირველეს ქალთაგანი ლუდოვიკ მეთოთხმეტისა საუკუნოჲსა, რომელმაც, (ესე იგი საუკუნოებამ) აწარმოვა იმოდენი კეკლუცობა და ჩინებულება.

ის იყო ყმაწვილი ქალი, ლამაზი, მსწავლული და ჭკვიანი და იმის სახლში ხშირად იყრიდენ თავსა ჩინებულნი კაცნი იმა დროჲსანი: დიდ-შემძლენი, მწერალნი, არტისტები, ჭკვიანნი ქალნი, უცხო ქვეყნის მოგზაურნი და სხვანი.

იმ დღეს სხვათა შორის იყვნენ შეკრებილნი: მოლიერი, რომელიც მივარდა ლაფონტენსა და დაკოცნა, ბუალო, რომელსაც თან მიეყვანა რასინი; ძველი კორნელი, რომელიც ბრწყინავდა არა ნაკლებ ჩვენის პოეტისა, ჭკვიანნი კაცნი რამბულიეს სასტუმროდამ, და მსწავლულნი ბურგონის სასტუმროდამ, რამდენიმე მარკიზი და გრაფი და უპირველესნი მშვენიერნი ქალნი მარედგან,

ლაფონტენი ჰკითხავდა პირდაპირ ყველას და თვითვეულს ცალცალკე ვერსალის ანბავსა, კოროლისასა, ლავალიერისასა და საკუთრად ფუკესასა.

მაგრამ როდესაც ის წარმოსთქვამდა ხოლმე ფუკეს სახელს, სახე ყველასი ყვითლდებოდა და ტუჩები ეკუმებოდათ.

იმ დროს პოეტი ჰგვანდა ბაშჳსა. რომელიც ეთამაშება ცეცხლსა. არავის სურდა იმ თამაშში გარეულიყო. ამ დროს მოუწოდეს ყველა სტუმრებს საუზმეზედ, რომელმაც მოასპობინა იმას ეს გამოკითხვანი.

ლაფონტენი დასვეს ორს მშვენიერს ქალს შუა, რომელსაც ხან ერთს და ხან მეორეს ხშირად ჰკითხავდა იყავით თქჳენ ვოს ციხე დარბაზში? არ იცით, როდის მობრუნდება კოროლი მარლიდამ და ან როგორ გადაწყდა ფუკეს საქმე?

ისინი იმაზედ არავითარს პასუხს არ აძლევდნენ და მაშინ ლაფონტენს საუზმის გათავებამდინ ხმა აღარ ამოუღია.—მაგრამ თვალი ყველასი იყო მიქცეული ლაფონტენზედ; ყველა ყურებს აცქჳტდა, უნდოდათ გაეგონათ რამე მისგან, მაგრამ ყველანი შემცდარნი იყვნენ იმ დროს ამიტომ, რომ იმისი პირი იმ დროს გაიხსნებოდა ხოლმე მხოლოდ საჭმელისა და სასმელისათჳს.

ბოლოს, როცა ხილი მოიტანეს, მან იწყო ლაპარაკი, მაშინ სხჳანი ყველანი დაჩუმდნენ, რომ არც ერთი სიტყჳა არ დაეკარგათ იმის ჭკჳანის ლაპარაკიდამ. უ. უ. უთხრა მან, მე მინდა თქჳენ ყველას მოგცეთ ერთი საჭირო კითხჳა.

ყველას ეგონა, რომ ეს კითხჳა შეეხებოდა ანუ სიტყჳერებას ან კრიტიკას და ან ქალების ქებას.

არა ვინ იცის თქჳენგანმა, თუ როდის მობრუნდება კოროლი მარლიიდამ და რაზედ შედგა ფუკეს საქმე?

საწყალს ლაფონტენს აღარ ახსოვდა, რომ ეს კითხვა ათჯერ მისცა ცალკე თჳთეულს სტუმარს.

ბოლოს ყველანი მოვიდნენ განცჳფრებაში; მოკრუამ ჯავრით ენა დაიწყვა. დომინიკე შეწუხებით გაწითლდა. სტუმრები უყურებდნენ ერთმანერთს და არავინ პასუხს არ აძლევდა კითხვაზედ. მხოლოდ ლასაბლიერმა და მო-

ლიერმა შეხედეს კრომანსერის და ჯანდამოუყვანელთ მათ თვალთადამ ცრემლი შეწყალებისა და მისი წილეობისა. და ამით ყველასთვის გათავდებოდა, თუ რომ არს ყმაწვილს კაცს უცებ არ დაუწყოთ ხარხარი.

უ. უ. მე არა მგონია, რომ აქ იყოს რამე საცინელი, უთხრა ლაფონტენმა.

იმ ყმაწვილთ შერცხვათ, ძირს დაიწყეს ყურება, და სხვებში პატივისცემით უყურებდნენ პოეტსა, რომელიც იმ წამში სჩანდა რაღაც დიდებულათ და წარმოსადგენათ.

ეგ ჰგავს შენ მიზანტროპსა (მიუკარებელს) უთხრა ლასაბალიერმა მოლიერსა, და გამაგრა ლაფონტენი ერთის შეხედვით, რომელიც სავსე იყო მონაწილეობით.

ვინც ლაპარაკობს ფუკეზედ, განსაკუთრებით ზღაპართ მწერალმა, მან უთუოდ უნდა ჰპოვოს პასუხი ყოველს გულში. ნუ თუ იმას, ვინც რომ ყველას კეთილის მყოფი იყო, როდესაც იყო სრულს ბედნიერებაში, აღარ დარჩენია აღარც ერთი მეგობარი. როდესაც იგი ჩავარდა უბედურებაში?

ამბობენ, რომ ვითომც ის იყოს შენიშნული სხვა და სხვა გარდასხდომილებაში, მაგრამ ამას ანბობენ იმის მტერნი, ვინ თქვენგანი არ შეთანხმება მე, რომ უ. ფუკე უბრალოა ყველა საქმეში?

ამ სიტყვებზედ ყველა ათრთოლდა; ეგონათ, რომ იქ წივოდა გველი—კოლბერი. თვით უშიშარნი სტუმრებში გაუფითლდნენ და მდუმარებდნენ.

რას გაჩუმებულხართ. ეუბნებოდა მათ ლაფონტენი, თქვენ გეშინიანთ მართლ მსაჯულობისა? უნდა გეშინოდეთ არა იმისი, არამედ უსამართლობისა და ცდილობდეთ სიმართლის ხმითა არ მიუშვათ კარილი უსამართლობამდინ.

მაშინ თითონ ლასაბალიერიც შეშინდა, არა მიმხედი

მისა, რომ იგი სწყალობდა პოეტსა, და ცდილობდა ყოვლის ღონით მოეწყჳტა ეს ლაპარაკი, მით რომ მიიწვია წინ ოთახში სტუმრები, რომლითაც ისარგებლეს ბევრმა და გავიდნენ კარში.

ჵ. ჵ. თუ თქჳენ ჩუმათ ხართ, განაგრძო ლაფონტენმა, მე მაინც არ დავჩუმდები. მე ვეცდები დავიცვა ფუკე წინაშე კოროლისა, სასახლისა საფრანგეთისა, და წინაშე მთელის ქჳეყნის, და გამოვიდებ მისთჳს თავსა ჩუმებურათ: ცრემლით, კალმით.

ამ დროს ლაპარაკი მისი იყო ისე მშჳენიერი და ძლიერი, რომ ყველაზედ იმოქმედა მან.

მე თქჳენ წელან მოხოვეთ ლექსები, განაგრძო ლაფონტენმა, აი ინებეთ, მე თქჳენ წაგიკითხავთ ლექსებსა, რომელიც მე წუხელს დავსწერე გზაში. ისინი არიან დაწერილნი იმ თევზებზედ, რომელნიც სცურავდნენ მშჳენიერათ ვოს ციხე დარბაზში. სადაც ჩჳენ ყველამ ვნახეთ დიდება ფუკესი და ხმით, რომელშიაც ისმოდა გრძნობა კეთილშობილებისა, მან წაიკითხა ელეგია (საგლოველნი ლექსნი), რომელიც უკვდავ ჰყოფდა ლაფონტენსა, ვითარცა კაცსა და ვითარცა მოლექსესა,

«ავლავსეთ ჭავრი გოდებით თჳსთა ღრმათა ამოქვაბულთა შინა! სტიროდეთ ნიმფნო ვოს ციხე დარბაზისავ! დაიქციეთ ცრემლის ნაკადულნი! ალელვებულმა ანგელმა აიოხროს საუნჯენი, რომლითაც ფლორამ განამშჳენა მისნი კიდენი! არავინ არ განკიცხავს თქჳენთა უმანკოთა ცრემლთა. ძალგიძთ თავისუფლათ გამოხატვა თქჳენისა მწუხარებისა. ყველა ელის თქჳენგან აღსრულებასა ამა კეთილშობილურის ვალისასა; სხვა კმაყოფილია. ამიტომ რომ ორონტი უბედურია».

ორონტის სახელს ქჳეშ ის გულისხმობდა ფუკესა. რადგან ლომინიკემ უკვე იცოდა ლუდოვიკ მეთოთხმეტეს

ხასიათი, ვინემ მისმა მამამ. ამიტომ ურჩია მას, რომ საჩივარი ნიმფებთა ყოფილიყო იგავით თჳნიერ ამა განბრთხილებისა, მას არ შეეძლო თჳსი ელეგია გამოეცხადებინა საზოგადოებაში, და არც შეიქნება ღირსი ლუდოვიკისა ყურადღებისა.

უ. ლასაბლიერმა ყველაზე პირველათ დაუკრა ტაში, სტუმრები შეუდგნენ მის მაგალითს, ამიტომ რომ სახელი ფუკესი ოსტატურათ იყო იმ ლექსებში დამალული.

«თქჳენ დიდხანი არ არის ნახეთ, თუ როგორ ის «თქჳენ ფეხქჳეშ უშიშრათ, საცა ბრწყინვალებითა და «დიდებითა მიიღებდა პატივისცემათა მოკჳდავთაგან. ოჵ «ახლა იგი დაეცა იმ ბედნიერის სიმაღლისაგან! ეხლა იმას «ვეღარცკი იცნობთ თქჳენა. მისთჳს მშჳენიერნი დღენი «შეიქმნენ ბნელ ღამეთ. წვალების ზრუნვა მწუხარება, «ესე ბოროტნი სტუმარნი მისის სამწუხარო საცხოვრე«ბელისა, ყოველს წამს აგდებენ მას უფრსკულსა შინა «ბოროტებისასა. ამ გვარი ჩვილი ხშირად ისმის დიდ «შემკობილ პალატათა შინა! იქ საკმაო არის ხოლმე «დაუდგრომელობა ბედნიერებისა. მისნი მოღალატენი, მო«წყალებანი, მაგრამ ყოველსავე კაცი ჵსცნობს გვიან. რო«დესაც კაცი მიფრინავს იმ ზღჳაში გაშლილის იალქნე«ბით იმ ფიქრით, რომ მას თითქო აწყევს ზურგვებრიცა «და ვარსკჳლავნიცა, მაშინ ძნელათ შეუძლიან ფლობდეს «თჳსთა სურვილთა. თჳთ ბრძენი იმ დროს იმინებს გან«სვენებით ქარიზედ (ზეფირი) მინდობილი; არაოდეს «ნებიერი ბედნიერებისა არ უდებს საზღჳარსა თჳსსა სარ«ბიელსა; არ უყურებს, რას სტოებს უკან; და ამათ სიყ«ვარული პატივისა და ჯილდოებისა შორდება მას მაშინ, «როდესაც სრულიად ანადგურებს. ნუ თუ ჩინებული მა«გალითნი ისტორიაში არა საკმაო არიან გარდა ორონ«ტის დალუპვისა? ოჵ რა სიამოვნებით იგი იცხოვრებდა,

«უკეთუ ყალბს სიტკბოებას არ მიეზიდა იგი და დასჯე-
«რებოდა ცხოვრებას იგი თავის ციხე დარბაზში! თუ
«რომ არ ეყოლებოდა ბრწყინვალენი მხლებელნი, (სტა)
«ხროვა კაცთა, რომელიც ღელვის მსგავსად მომდინარე-
«ობს ხშირად მზის პატივსაცემლათ,მაშ ნაცვლად მის მო-
«წყალება ცისა მისცემდა განსვენებას, ჩრდილოსა და მყუდ-
«როებას, ეგრეთვე აუშფოთებელს ძილს. უმანკო საუბარსა,
«დიდ საზოგადოებაში არ არსებობენ ამდონი კეთილნი
«და ამ გვარნი ბედნიერებანი...»

ხელახლად დაიწყეს ტაშის კვრა, ყოველივე შეიცვალა ამ სამაგალითო თხზულებაში. ლაფონტენი იყო არა თუ მშჳენიერ მეტყჳელი, არამედ ოსტატი მის წრილში. ეს მეგობრული ალჳარება ჭეშმარიტოს ფუკეს ქცევათა, ეს მსუბუქი სასჯელი მისის ამპარტავნებისა, ღრმა, სულ მარტივი ფილოსოფია, რომელიც ამართლებდა დაბნელებასა პირჳელის კარის კაცისასა, შემმკრელი სურათი ბედნიერებისა, რომლისაც პოვნა შეეძლო მფლობელსა დიდის ციხე დარბაზისასა და რომლისაც პატივებს, ლუდოვიკს შეეძლო ერთი ლუქმით. ყოველმა ამან შესძრა, პოეტნი, მდიდარნი, არტისტნი, და სხჳანი, რომელნიც გარს ეხვნენ ლასაბლიერს.

ეს არც ეზოპია და არც ფედრი, ალტაცებით სთქჳა მოლიერმა, ეს არის სწორედ პინდარი, გორაცი, ვირგილი, (ჩინებული მწერალნი).

ლაფონტენმა გაათავა ლექსები.

«გარნა დაუტევოთ ეს აზრები, ორონტი მიგიწოდთ
«თქჳენ. თქჳენ ნიმფნო, რომელთაც საცხოვრებელი ასე
«შეგიმკოთ მან, თქჳენ დავალიანებულნი მისგან თქჳენის
«სიტურფით, თუ რომ ლუდოვიკი მოვიდეს თქჳენ კი-
«დეზედ სასეირნოთ, ეცადეთ მოწყალე ჰყოთ ისა; მას
«უყვარს ქვეშევრდომნი, ის სამართლიანი და ბრძენია;

«მოთავაგონეთ მას ხურვილი, შეიქნეს შემწყალებელი, რომლითაც კოროლები ემსახურებიან ღმერთებსა. გაიხსენეთ იმან ცხოვრება სულგრძელის გენრიხისა (კელმწიფისა) «შეაგონეთ ლუდოვიკს ესრეთივე სიკეთილე. ძლევა საკუთარის გულისა არის უპირველესი ძლევა. ესლა ორონტი «ეუნდა იყოს საგნათ სიბრალულისა. თუ რომ ბრმათ მიენდობოდა თავის ბედნიერებას და შემძლებლობას, იგი «საკმაოთ დასჯილი არის. უბედურებას აქვს სრული სიმ«რთელე შეწყალებაზედ.»

აქ ტაშს კი აღარ უკრავდენ, სტიროდენ ყველანი ლაფონტენთან.

ჯერ ისევ ყველას თვალები ჰქონდა ცრემლით სოველი, როდესაც ერთი მშვენიერი კაცი შემოვიდა ოთახში, ის იყო მარკიზი ლაფარ, მეგობარი ლასაბლიერისა.

ის მოვიდა პირდაპირ ვერსალიდამ, და ლაფონტენმა მისცა მას მაშინვე თჳსი კითხვა: მობრუნდა კოროლი, თუ არა მარლიიდამ?

ორი საათი იქნება, რაც მობრუნდა, მიუგო მარკიზმა. მე დავშორდი მისის დიდებულების სვიტას ვერსალის სასახლის წინ.

ძლივს! დაიძახა სიხარულით ლაფონტენმა, ეხლავ გავიქცევი და დავეცემი კოროლის წინ!

მერე შენიშნა რა მღელვარება ყველას სახეზედ და ცრემლი ქალების თვალებში, უთხრა კეთილშობილთ თჳსთა ამხანაგთა: უ. უ. ვინც სტირის ფუკეზედ, ის წამომყჳს თან მის საშველათ. თქჳნ ჩემზედ უკეთ იცით გზა კოროლის გულისა და ტახტისა, აბა ვინ თქჳნგანი მიხვდების მე იმ გზას და მით მომცემს მე ბედნიერს შემთხვევას წაუკითხო მას დიდებულებას ლექსები?

მე, თუ შემძლე, უთხრა მარკიზმა კაუსამ, განლაგებულმა მოლიერისა და რასინისაგან.

სხვანი კი ჩუმათ ისხდნენ.

მარკიზმა ლაფარმა, რომელსაც დახასიათებულმა ჯერით ყოველივე შეაძლია თავისი კარიერა.

ლაფონტენი სანქარალით ჩაჯდა იმაში, ჩასვა კაცი, მდილიერი და მომსახურე და ჩინებულმა ცხენებმა გააფრინეს ვერსალისაკენ.

ლასაბლიერმა გადაცილა ლაფონტენის კარებამდის, მო-უჭირა მას ხელი და უთხრა: ახალმა წარსულმა. ნუ იქნებით უიმედოთ ბ. ლაფონტენ! გახსოვდეთ რომ ამ წამოდგას მე ვარ თქვენი ერთგული მეგობარი.

მარკიზი კაუა იყო ის კაცი, რომელზედაც ლუდოვიკმა სთქვა: აი ბ. კაუა ასწავლის რასინს სასახლის კელოვნებას ხოლო ბ. რასინი ასწავლის მას ლექსთ წყობას: ეს კარგი ღონისძიებაა რომ შეიქმნეს სუსტი მწერალი და სუსტი სასახლის კაცი.

მაშასადამე კაუას არ შეეძლო აღმოეჩინა ლაფონტენისათვს საკუთარი შემწეობა კოლბერთან მის წარდგინების დროს, მათ შეხვდათ მოცდა მთელი საათი. მაგრამ ის საათი ლაფონტენმა მოიხმარა სასარგებლოთ; გაისწორა ტანისამოსი და მიაწყო ელეგიას რომელიმე ლუდოვიკის საქებო, რომელმაც მოლიერი მოიყვანა სრულს აღტაცებაში,

დანიშნულს საათზედ შევიდნენ ისინი მინისტრს ზალაში. აქ ჩვენმა პოეტმა, რომელსაც დაინახა დიდი დიდება, მომზადებულება, ხროვა მსახურთა, სიმდიდრე ტანსაცმელთა ანუ გაბუთ ოქრომკედით შეკერულთა. ქვესჯერ მაინც დაჰკარგა თავისი ამხანაგები. ბოლოს მოლიერმა და დომანიკემ იპოვეს ის და ძლივს იშორებდნენ თვალიდამ.

მერე საჭირო იყო ელოდნათ, მანამ მიდგებოდა რიგი კოროლთან მისვლისა. აქვე მარკიზმა კაუამ აღმოუჩინა მას ნამდვილი ერთგულება, მით რომ მისცა შემთხვევა,

ვითარცა პოეტს ადრე წარდგენისა სხჳებზედ. მოაწია დრომ, როდესაც მახლობლათ კოროლისა იდგა ლაფონტენი, ასის ნაბიჯზედ. ლუდოვიკი იჯდა მარტო პრინცესებთან (მეფის ქალის შვილები).

მეფის შვილები იდგნენ როგორც სხჳანი იქ მყოფნი და მიართმევდენ მას პურსა და ღვინოსა.

ეს შეაყუნებდა ყოველს კაცსა გარდა ლაფონტენისა, რომელიც ცოტა არ არის რომ შეკრთა.

საბედნიეროთ მეფის მემკვიდრემ იცნო ის და ხმა მაღლა ახსენა მისი სახელი, თუმცაღა ამით ირღვევოდა კარის სასახლის ეტიკეტი (წესი).

კოროლმა მოიბრუნა კრესლა; პრინცესებს მცირეთ გაეცინათ და ზღაპართ მწყერალი დაეცა იმ დროს კოროლის ფეხ წინ.

ლაფონტენი შენ ხარ? ჰკითხა კოროლმა.

სწორეთ, თქჳენო დიდებულებავ. მე ვარ ლაფონტენი, მცირე მეგობარი თჳთ წარჩინებულებისა და თჳთ უბედურისა თქჳენის ყმისა ფუკესი, რომელზედაც მე ეხლა ვითხოვ თჳთ სიმართლიანს მოწყალებას თქჳენის დიდებულებისას.

ამ დროს სახელის ხსენებაზედ, რომლისაც გამოთქმა არავის ძალუძდა ვერსალში ორის წლის განმავლობაში, კოროლმა გადახედა საწყალს ლაფონტენსა განკჳრვებით, იმაზედ ვერ გაუბედავდა თქმას ვერცაღა მემკვიდრე საფრანგეთის ტახტისა.

სრულიად ზალაში იყო მძიმე მდუმარება. სადილი შესდგა ერთს წამსა. ყველას მხედველობა მიიქცა ლაფონტენისაკენ, ვითარცა შგუნურზედ, რომელიც საკუთარის ნებით ვარდებოდა უფსკრულში.

კოროლმა სასტიკად გარდახედა მარკიზს კაუას. მარკიზმა იგრძნო, რომ იღუპვის; ფერხები უკკეთებოდა.

თქუენო დიდებულებავ, განაგრძნობდა ლაფონტენი, მდგომარე ისევ მუხლზედ, მომიტევეთ ჩემი კადნიერება: მე არ ვიცი სასახლის ეტიკეტი, მაგრამ ისკი ძალიან კარგათ ვიცი, რომ ფუკე უბრალოა, და თქუენ სულგრძელიხართ, ნუ გაუგონებთ მის მტრებსა, ჴელმწიფევ. გაუგონეთ მხოლოდ თქუენს დიდსა და სამართლიანს გულსა.

კმარა, უ. ლაფონტენ, უთხრა კოროლმა წარბ-შეკრულმა, თქუენ გარდასწყჳტეთ დავა შორის მუხისა და ლერწმისა, საჴელმწიფო საქმე მოგვასენეთ ჩუენ.

ოხ! ჴელმწიფევ, წარმოსთქუა ზღაპართ მწერალმა, თქუენ ხართ მუხა და მე ლერწამი. უბძანეთ დამტვრევა ჩემი წვრილათ, მხოლოდ შეიწყალეთი ფუკე.

კიდევ თავისას ამბობს, დაიყჳრა ლუდოვიკმა და უნდოდა ესიმნებინა, რომ გაეყვანათ ლაფონტენი და მისი სამი ამხანაგი, მაგრამ უცებ შედგა კოროლი, როდესაც დაინახა, რომ ცრემლი რეცხდა ლაფონტენის შეწუხებულს პირსა და არზა, რომელსაც აძლევდა მას აკანკალებული ჴელი პოეტისა.

ეგ რა ქაღალდია, ჰკითხა მას კოროლმა ალერსით. ამ ქაღალდში არიან რამოდენიმე ლექსნი, თქუენო დიდებულებავ, ლექსნი დაწერილნი ჩემის ცრემლით, მე მინდოდა დამეწერა ეგენი ჩემის სისხლით! ღაღადება მადლობისა და მეგობრობისა! ვედრება თქუენის მოწყალებისა; მაგათ შესძრეს თჳთ მტერნიც ფუკესი, იყავით ჴელმწიფევ მაგ ლექსების ყურადმღებელი!

ლუდოვიკმა საჩქაროთ გასტეხა ბეჭედი და ყველა ელოდა ამის შემდგომ ტფილს მზის შუქსა და თან ქუხილსა.

კოროლმა წაიკითხა ბოლომდის ელეგია და შეხედა ლაფონტენს განკჳრვებით და ლმობიერებით. ჟ. ლაფონტენ, უთხრა მას ბოლოს რბილის ხმით: ახლავე წადით

თქუენ შინა! თქუენ მალე სცნობთ ფუკეს სვესა.

კოროლიც ადგა სტოლიდამ სადილ გაუთავებლათ, დაუტევა მიპატიჟებულნი და საჩქაროდ შევიდა თავის კაბინეტში.

არასოდეს სახახლეში ამ გვარი შემთხვევა არავის ახსოვს

ოჰ, დაიძახა ლაფონტენმა, ვგონებ, მე მხოლოდ განვარისხე კოროლი, ნაცვლად მისა, რომ მეშუელა რამე ჩემის კეთილის მყოფისათჳს.

და ის ველარ შესძლებდა ველარც ადგომას და ველარც გამოსვლას, თუ რომ მოლიერს და დომინიკეს არ დაევენებინა და არ გამოეყვანათ ზალიდამ.

როდესაც ლაფონტენი მიიყვანეს, ანუ უმჯობესად ვსთქუათ, მოიტანეს, ერთს მარკიზ კაუას მეგობართან ის იწვა მთელი საათი უგრძნობოთ, უგონოთ.

ბოლოს ის მოიყვანეს გრძნობაში მოლიერის და დომინიკეს ყჳრილმა, რომელთაც იგი ჰკითხავდა: რა იყო? რა ანბავია?

მოლიერმა ვერ გაბედა ეთქუა ყოველივე, დომინიკემ უჩუენა მეტი გაბედულობა, საშინელი ანბავია მამავ, უთხრა მან, ამბობენ, რომ კოროლს შეუგროებია მინისტრები და გადუწყუეტიათ ფუკეს საქმე.

როგორ, როგორ გადუწყუეტიათ საქმე?

გადაუწყუეტიათ მისთჳს სიკუდილი. თუ დასაჯერებელია ხმები.

ლაფონტენი წარმოსდგა კვნესით და სთქუა: ღმერთო! სად არიან მსაჯულები? მე დავეცემი იმათ ფეხ წინ; შევამლევ ჩემს თავს, ჩემს სისხლს ნაცვლად ფუკეს სისხლისა.

თქუენ მგონია დაგავიწყდათ მამაო. რომ ერთი უკანასკნელი ღონე კიდევ გაქუსთ დარჩენილი, რომელიც

ჯერ არ გიცდიათ წიგნი ფუკესი ლავალიერთან. მართლა! მიუგო ლაფონტენმა, რომელსაც მოუბრუნდა ჭკუა და ენერგია (ესე იგი ძალი), მე საწყალს უნდა დამეწყო იმ წიგნიდამ და არა თუ გამეჯავრებინა კოროლი. ლავალიერი არის ქალი, და ქალი კეთილის გულისა; აბა სად არის ეხლა ისა? წამიყვანეთ იმასთანაც ამ წამში, ყვიროდა ლაფონტენი.

წამოდით მე წაგიყვან, უთხრა მას კაუამ, რომელმაც მოინდომა ყოფილიყო ბოლომდის ერთგული ლაფონტენისა, ერთმა ჩუმმა მეგობარმა შემატყობინა მე, რომ უ. ლავალიერი ეხლა არის პრინცესსა გენრიეტესთან, ესე იგი ლუდოვიკის ასულთან. შენზედ კიდეც უთქვამსთ მისთჳს და როგორც მივალთ, მაშინვე მიგვიღებს.

მართლათ რამდენისამე საათის უკან ლაფონტენი იდგა ლავალიერის წინ.

მას ის არაოდეს არ ენახა ახლო. მისმა მშუენიერებამ გააკჳრვა ლაფონტენი და გაუმხიარულა შეწუხებული სევდიანი გული.

ქალბატონო, უთხრა მან, გულხელდაკრეფილმან, თქუენ ისე ტურფა, ისე მშუენიერი ხართ, რომ არ შეიძლება არ იყოთ კეთილი. თქუენ გავხართ ანგელოზსა.

არ გინდათ იყოთ ანგელოზათ, შუამდგომელათ, ანგელოზად მოწყალებისა და შებრალებისა?

აბა რა რიგათ? ჰკითხა ლუიზა ლავალიერმა, ხავსემ შებრალებით და მონაწილეობითა.

მე გეხვეწებით უბედურს ფუკეზედ. ინებეთ წაიკითხოთ აი ეს წიგნი და უშველოთ რამე დროთი, და მისცა ლავალიერს წიგნი რომელმაც კანკალით გახსნა და ყურადღებით წაიკითხა.

ხამჯერ შენიშნა ლაფონტენმა, რომ ლავალიერი იწმენდდა ცრემლებს თვალზედ. ბოლოს მშუენიერს მის ტუ-

ჩუპზედ გამოჩნდა მეიმარჯებაც, მზგავსი მისის სიტურ-ფისა, ვითარცა ნიშანი დიდის იმედისა და ნუგეშისა.

ჟ. ლაფონტენ უთხრა მას კმაყოფილებითის მღელ-ვარებით და გაუშვრა რა მას ჴელი: მე ვსცნობ თქჳენს ტალანტსა (ნიჭსა) და თქჳენს სულსა, შემძლებელია, რომ ამ გვარმა ლექსმა არ დაარბილოს მისი დიდებულება.

როგორ თუ ლექსებმა? რას ბძანებთ ქალბატონო, შეჰ-ყჳრა პოლეტმა. მე თქჳენ მოგართუთ წიგნი ჟ. ფუკესი, წიგნი რომელიც მან დასწერა თქჳენთან იმ წამში, რო-დესაც ის დაატუსაღეს.

შეაცრავათ, უთხრა ლავალიერმა, მე თქჳენ მომეცით ლექსები დაწერილი თქჳენგან და ჴელმოწერილნი თქჳენ-განვე; ლექსები მშჳენიერნი, როგორც სხჳა, რაცრამკი გამოდის თქჳენის კალმიდამ. ის ლექსები არის ელეგია ვოს ციხე დარბაზის თევზებთან.

მეტყობა თქჳენა გსურთ, რომ მე ის ლექსები თქჳენ მაგიერ მივართვა მის დიდებულებას.

ლაფონტენს აღარა ჰქონდა ძალი გაეგონა ბოლომდის ლავალიერის ლაპარაკი. მან გადააგდო ქლაპა ერთ მხა-რეს, ჯოხი მეორეს მხარეს... ემებდა რაღასაც ჯიბეში, გადმოიბრუნა ყველა ჯიბები, მიაწყდებოდა აქეთ იქით ვითარცა კაცი, რომელსაც აკლდება ჭკუა; ყჳროდა რაღაც ნაირად, ხან ბუტბუტებდა რაღაც გაუგებელს სიტყჳებსა.

ბოლოს დაეშვა კრესლაზედ, გაიშვირა ჴელები ცისაკენ და დაიძახა სასოწარკვეთილებით: ოჰ! მე საბრალოს ერთ-მანერთში ამირევია წიგნები. კოროლისათჳს მიმიცია ის წიგნი, რომელიც ეკუთვნოდა ლავალიერსა.

ღმერთო! თავის დროზე შესძახა ლავალიერმა, რომელ-საც კინაღამ გული შემოეყარა.

ეხლავე მესმის კარგათ რისხჳა კოროლისა, სთქჳა ლაფონტენმა; მე, მე უგუნურმა, მოვკალი ჟ. ფუკე. მე

შევიქენ მიზეზი მისის დაღუპვისა.

და აღარ გამგონმა ლავალიერის სიტყჳსბისა, რომე-
ლიც ძრწოლით აძლევდა ათს სხჳა და სხჳა კითხვას, მან
დაუტევა იგი თჳთ აღშფოთებულსა და სამწუხარო მდგო-
მარებაში, უგონოთ, თავშიშველი დარბის. იცემს გულ-
ში და ეუბნება ყველას, ვისაცკი შემოეყრება: მე. მე დავ-
ღუპე ფუკე! მეც მინდა იმასთან თავი მოვიკლა. სად არის
კოროლი?

აი ეს არის მიმაქჳს იმასთან ჩემი თავი!

დომინიკე და მოლიერი ტუილათ მისდევდნენ მას და
ეხვეწებოდნენ აეხსნა მას თუ თუ რა შეემთხვა იმას ამის-
თანა. ის დარბოდა გალერეიაში და იძახდა:

მე, მე ვარ ყველაფერის მიზეზი. მართლა ფუკეს გა-
დაუწყჳტეს სიკჳდილი? ჰკითხამს იგი ერთს მსაჯულს,
რომელიც შემოეყარა წითელის მანტიით და რომელსაც
მან ჴელი სტაცა და გააჩერა.

დიაჰ, უთხრა მან, ამბობენ, რომ ვითომც განჩინება
შემდგარი იყოს და მისთჳს გადეწყჳტოთ სიკჳდილი.

მე ვარ მაგის მიზეზი ეუბნება ის მსაჯულს, და მოე-
ხვევა ყელზედ მოლიერს და დომინიკეს, რომელნიც იმ
დროს იქ წამოადგნენ თავსა.

ის მათ მიიყჳანეს კაუას მეგობართან,სადაც იგი იღვ-
რებოდა ცხარის ცრემლით. ბოლოს უამბო მათ თუ რა
რიგათ აურია მან წიგნები და მით განარისხა ლუდოვიკი
და მოასწრაფა ფუკეს დაღუპჳა.

იმის შჳლი და მეგობრებიც სტიროდნენ ერთათ
მასთან ცხარის ცრემლით.

ბოლოს ცოტათ მოეგო ლაფონტენი გონებას და კი-
თხულობს კიდევ: თუ სად არის კოროლი? მე უთუოთ
უნდა კიდევ ვნახო კოროლი, იძახის იგი. და იმ დროს,
როდესაც სხვები ურჩევენ მას, რომ დაუტევოს ის უგუ-

ნური ფიქრი, გაეღება კარი, შემოვა აფიცერი და იკითხავს უ. ლაფონტენი აქ არის თუ არა?

აქა ვარ, შესძახა მას ლაფონტენმა, უცებ ფეხზედ წამომხტარმა.

მისი დიდებულება გიბარებსთ თქუჱნ, უთხრა მას აფიცერმა, შეგიძლიანთ წამომყვეთ მე ეხლავ.

მადლობა ღმერთსა! სთქუა პოეტმა აღტაცებით: მეც მოვისმენ ჩემზედ განჩინებას, მაგრამ აპელაციას მივართმევ თითონვე ჴელმწიფეს.

და სასწრაფოთ მოემზადა, მაშინ როდესაც დომინიკე და მოლიერი იყვნენ ეჭვში და ფიქრობდნენ თუ რისთჳს იბარებს მას კოროლი.

ლაფონტენი მიიყვანეს ლუდოვიკის კაბინეტში სადაც ის ერთის კუნჭულიდამ მეორეში დადიოდა ჩქარა შორის მინისტრებთა და სხუათა დიდთა კაცთა, სრულიად სისხლმა გაჰყინა საწყლის პოეტის ძარღუჱბში, როდესაც წარმოიდგინა, რომ იქნება აკლდებოდა უკანასკნელს იმედსა.

შემიბრალეთ ჴელმწიფევ, შესძახა ლაფონტენმა კოროლსა, როგორცკი დაინახა იგი, მუხლზედ დაცემულმა. გთხოვთ ყოველი თქუჱნი რისხვა იყოს ჩემს თავზედ.

ჩუმათ! უთხრა ლუდოვიკმა დაბლის ხმით, იმ დროს მინისტრები პატივისცემით გამოდიოდნენ კაბინეტიდამ ერთი მეორის შემდგომ. ადექ ზეზე უ. ლაფონტენ, უთხრა კოროლმა, მე თითონ პირდაპირ უნდა გაცნობოთ ფუკეს საქმე.

პოეტს დაუბნელდა თვალთა; მოემზადა გაეგონა უკანასკნელი სასიკუდილო განჩინება...

ლაფონტენს უნდოდა კიდევ ეთქუა რამე, მაგრამ სიტყუჱბმა გაჰყინეს მის სტუმრებზედ, და კოროლმაც თითი აუშვირა და უთხრა სუ!

ამ ერთის საათის წინეთ, განაგრძო კოროლმა: ფუკეს ჰქონდა გადაწყუეტილი სიკჳდილი.

გამგონი ამისა და მით მოკჳდარი, ლაფონტენ დაეცა კრესლაზედ.

მაგრამ უთხრა ლუდოვიკმა ეხლა კი მე მას მიუტევე, ვაჩუქე სიცოცხლე და თქუენი უ. ლაფონტენ, თქუენით ვალდებულია ის ამით; საკუთრათ თქუენ მარტო ხართ იმის გამოხსნისა.

პოეტი უცებ წამოხტა, თითქო კუბოდამ, გაიმართა წელში, და დაიყჳრა სიხარულისა, აღტაცებისა და მად-ლობისაგან. ის კიდეც იცინოდა, კიდეც სტიროდა ერთს დროსა, და მოუსტაცა რა ორივ ჴელები კოროლსა, რეც-ხდა მათ ცრემლით და კოცნით.

ამით დაასრულა ყოველივე თავისი მადლობა, ამიტომ რომ ლაპარაკის ნიჭი დაჰკარგა ლაფონტენმა იმ დაუვი-წყარს მისთჳს წამში.

დამტკბარმა მისის ბედნიედნიერებით, კოროლმა მიუ-შჳრა ჴელი სტოლზედ და უთხრა: დაჯექით და თქუენ თჳთონ მისწერეთ თქუენს მეგობარს ეს ბედნიერი დასა-სრული მისის საქმისა. მინდა, რომ იმან საკუთრად თქუენგან შეიტყოს ეს ამბავი.

ლაფონტენმა როგორც იყო შეჰკრიბა ძალა, დაჯდა, დასწერა ორი სტრიქონი და მოაწერა ჴელი. კოროლის სეკრეტარმა ჩადო ეს პაკეტში და დაასვა ჴელმწიფის ბეჭედი.

ეს წიგნი გაიგზავნოს ბასტილიაში, ბრძანა კოროლმა, მერე გამოუბრუნდა ლაფონტენს და უთხრა: ახალს ნახ-ვამდინ უ. ლაფონტენ! ჩემი შჳლი მოელის შენგან ახალს წიგნს შენის ზღაპრებისას.

და წავიდა კიდეც კოროლი მინისტრებთან.

პოეტი გამოვიდა, დაისვენა გალერეიაში ორი წამი, და

წარმოუდგებოდა მას ყოველივე სიზმრათ, ისინჯავდა თა-ვსა, ფიქრობდა; ბოლოს ადგა, გამოვიდა ქუჩაში და ვი-ნაც შეეყრებოდა ეხვეოდა კისერზედ და ჰკოცნიდა ამ შემთხვევაში ოცჯერ დაჰკარგა გზა, მანამ გარეთ გამოვი-დოდა: ხან გაუხვევდა მარჯვნივ და ხან მარცხნივ. ჩადი-ოდა კიბეზედ და ისევ ამოდიოდა: ბოლოს მიაწია რო-გორც იყო შჳლთან, მოლიერთან და კაჳასთან, მოეხჳა მათ და უთხრა: ფუკე გადარჩა სიკჳდილსა და გადარჩა თურმე ჩემგან! მერე მოუყვა მათ რაც მოხდა, რაც შე-მთხჳა, მაგრამ უანბო ისე უაზროთ, ისე ურიგოთ, ამი-ტომ რომ ისევ აღელვებული იყო სიხარულით, და ბო-ლოს როგორც ციყჳ, მოჰყჳა ხტომასა და თამაშსა.

იმის მაგალითს მიჰყჳნენ სხჳებიც. მისნი მეგობარნი და შჳლიც; მაგრამ ეშინოდათკი, რომ პოეტი მართლ'დ არ შეშლილიყო ჭკუაზედ, და ცდილობდენ მოეყჳანათ ის ნამდვილს გონებაზედ.

დასასრულ ოთხნივ ჩასხდენ ეკიპაჟში, და გასწიეს საჩქაროთ პარიჟში. მთელს გზაში ლაფონტენის სათქ-მელი იყო ესა: მე დავიხსენ ფუკე სიკჳდილისაგან.

ახლა უნდა ავხსნათ აქ ლაფონტენისაგან წიგნების არევა, მიზეზი ფუკეს დახსნისა. აი ეს წიგნი მისწერა ფუკემ ლავალიერის ქალსა მის დატუსაღების წამსა.

მოწყალეო ჴელმწიფევ!

«მტერნი ჩემნი დღესასწაულობენ. მე ვარ დაჭერილი. »საცხოვრებელს მოკლებული, ეს არის ვიღუპები: მე «მიქადიან სიკჳდილსაც: რა არ შეუძლიან ცილის წამება-«სა? მხოლოდ თქჳენ შეგიძლიანთ ჩემი გამოხსნა ამ «განსაცდელისაგან მართლის თქმით. თქჳენ ყველაზედ «უკეთ იცით, თუ რა ოსტატობით და რა განძ-

«რახვისათჳს გადავახატჳნე თქჳენი პორტრეტი, და თუ «როგორც ერთგულათ დარჩა თქჳენი გული მას, ვისაც «იგი ეკუთვნოდა. მომიტევეთ ჩემთჳს შეწუხება».

ფუკე.

«ბელიილის ვიკონტი-»

ეს წიგნი შეცდომით მიართვა ლაფონტენმა კოროლს, რომლისათჳსაც ჰქონდა განმზადებული ლექსები ვოს ციხე-დარბაზის თევზებთან, და ამით ლაფონტენმა უნებურათ შემუსრა ცილის წამება ფუკეზედ და რადგან ასე განსაკუთრებულის შემთხვევით ჩაუვარდა ეს წგნი კოროლს, დარწმუნდა, რომ ფუკე იყო სრულიად უმანკო.

უამბო რა ეს სასიამოვნო ამბავი ლასაბლიერს, ზღაპართ მწერალმა მოინდომა ეთქჳა ესევე თავის ცოლისათჳს. და ამისთჳს დასასვენებლად გამოიძინა რა თხუთმეტს საათს, წავიდა შატოტიერრაში.

მან სთხოვა მოლიერს, ბუალოს, მოკრუას, შამპელს და სხჳა ამხანაგებს, რომ ისინიც დასწრებოდენ იმასთან როდესაც იგი იდღესასწაულებდა სხლეულობაში გამოხსნას თავისის კეთილის მეოფელისას.

მეორეს დღეს დაიწყეს ლხინი ლაფონტენის მეუღლის სახლში. როდესაც მან შეიტყო, რომ მისმა ქმარმა დაიხსნა ფუკე სიკჳდილისაგან შიში მისი გარდაიქცა სიხარულათ.

სრულიად შატოტიერრი დღესასწაულობდა ძლევას, რომელიც შეიმოსა პოეტმა მისმა.

ბორმარიდამ მოვიდნენ დეპუტატები მოსალოცავათ მისა. თჳთ მებალე ვილგელმი სწუხდა, რომ წასჩხუბა ეს ჩინებული კაცი ძჳელს მის მეგობარს, კაპიტან პუსანიანს.

მას უნდოდა მოეთხოვა კიდეც ბოდიში კაპიტანთან,

მაგრამ მისმა სულელურმა და ბრიყულმა თავის გაზჳადებამ ნება აღარ მისცეს ამისი,

შემდგომ რამოდენისამე დღის, ლაფონტენმა მიიპატიჟა ყველა თავისი მეგობარი და ნათესავნი დიდს სადილზედ; აქ უნდა დალეულიყო სადღეგრძელო ფუკესი მისის გამოხსნისა, პორტრეტი ფუკესი მორთული მწჳანე ბალახებითა და ყვავილებითა, ვითარცა სასოების სიმოკლოთი, ჩასდჳჱს კრესლაში და დასდგეს სტოლის წინ. როდესაც სხდებოდნენ სკამებზედ, ლაფონტენმა დაათვარიელა თავისი სტუმრები და შენიშნა, რომ ყჳჱლა მიპატიჟებულში აკლდა მხოლოდ ერთი პუანიანი.

ეს რას ნიშნავს? დაიყჳრა ლაფონტენმა, რომ კაპიტანი აქ არ არის. ეტყობა ის ისევ გაჯავრებულია ჩუზედ.

მე წაჳალ, გამოვულაპარაკები და მოვიყჳან კიდეც უთოვოთ. აიღებს იმ დროს შპაგას და მირბის იმასთან.

გამიგონე კაპიტანო, ეუბნება მას, როდესაც შევა იმასთან: განა ისევ მიჯავრდები?

აფიცერი მიუგებს მას ძლიერ ცივათ.

ლაფონტენი ეხჳჱწება, აგინებს, უცინის და მეგობრულად უბრძანებს გაჭყჳჱს უთოვოთ ლხინში.

პუანიანი ეუბნება მტკიცედ, რომ არას გზით არ გაჭყჳჱბა, მაშინ ლაფონტენ დაიდებს ხრმლის ტარზედ ჴელს და ეტყჳს: მაშ არ გინდათ წამომყჳჱთ მე და იდღესწაულოთ ჩემთან ფუკეს გამოხსნა?

აღარ გინდათ, რომ იაროთ ხოლმე ჩემთან, იყოთ ჩემი მეგობარი უწინდელივით და დაგყავდეთ ხოლმე ჩემი ცოლი ჴელ გაყრილი?

არა, ეს არ შეიძლება, გიბრძანებ, რომ ეხლავ მომეხჳო და დამკოცნო, მოხჳდე ხოლმე ჩემ ცოლთან, იყო ხოლმე იმისი კავალერი, გესმის თუ არა? და თუ თქჳჱნ არ დააგდებთ ეხლავ მაგ სასაცილო ჯიუტობას, მაშინ მე თქჳჱნ გამომეტებით გამოგითხოვთ ხმალში არა

საზოგადო ჭაზრის დასაკმაყოფილებლად არამედ ჩემის დაკმაყოფილებისათჳს; აბა აირჩიე ორში ერთი: ანუ დუ-ქეი სასიკჳდილო, ანუ ჩემ გულში ჩახუტება!

აქ კაპიტანი ვეღარ მოითმენს, ადგება გაიცინებს, მო-ჳა ცრემლი და ჩაეხუტება მას გულში. მაშინ ლაფონტენ გაიტაცებს მას თავის სახლში სადაც სტუმრები, სხჳათა შორის, დალევენ მათ შერიგების სადღეგრძელოსაც.

მხოლოდ მებაღე ვილჰელმი არ იყო მონაწილე იმ სა-ზოგადო სიხარულში. პუანიანმა ასწავლა მას ცოტა ჭკუა რომელიც დიდხანს არ დაუვიწყნია, წარმომადგინებელს საზოგადო ჭაზრისას.

ბოლოს დასხდნენ სადილზედ. შექცევა ჰქონდათ მშჳჱ-ნიერი, მხიარული; კითხულობდნენ ლექსებსა, და საკუთ-რად ბევრი ლაპარაკი იყო მაშინ ფუკეზედ, ლხინმა გას-წია საღამომდინ.

ბოლოს ადგნენ სტოლიდამ. ამ დროს ვიღამაც მოა-რახუნა კარი, და შემოვიდა დომინიკე.

ლაფონტენის ცოლი შეკრთა იმის ნახჳაზედ: ეს მეო-თხეთ ენახა ეს ყმაწვილი კაცი, და არ იცოდა კიდევ თუ ვინ იყო ისა. აქ ლაფონტენი, ხშირად დაუდევნელი, როგორც ბედნიერებაში, ისე უბედურებაში, შეჰყვირებს მას: რა კარგს დროს მოხვედი შენც საყჳარელო შვილო.

მერე მიუბრუნდება ცოლსა, სტუმრებსა და ეტყჳს: წარმოვადგენ თქჳჱნთან ჩემს საყჳარელს შვილს.

როგორ თუ შვილს! შესძახებენ შეურაცხყოფილნი ამით ნათესავნი, და უყურებენ ხშირათ ხან მამას და ხან შვილს.

ლაფონტენის ცოლს ამ ამბავზედ შემოეყარა გულსა და დაეცა უგრძნობლათ.

აქ ზღაპართ მწერალი მიხჳდა, თუ რა შეცთომა მოუ-ვიდა, რომ უთხრა დავიწყებით ცოლსა ის საიდუმლო, რომელსაც მისგან ჰფარავდა ოცის წლის განმავლობაში.

საწყალი დომინიკე ხან წითლდებოდა, ხან ყჳთლდებოდა და მზა იყო ჩამძჳრალიყო მიწაში.

სტუმრებმაც არ იცოდნენ რა ექნათ. ლაფონტენიცა იდგა მუხლზედ ცოლის წინ, მოჰყავდა ის გრძნობაში და ითხოვდა მასთან ბოდიშსა.

ვედრება ლაფონტენისა დარჩებოდა უსარგებლოთ და ის დღე. დაწყებული ისე მშჳნიერათ, დასრულდებოდა ცუდათ, თუ რომ თჳთ დომინიკეს არ გამოეყჳნა ისინი იმ ცუდის და ძნელის მდგომარეობისაგან.

ქალბატონო, უთხრა დომინიკემ ლაფონტენის ცოლსა საკუთარის ღირსებით და პატივის ცემით, მძიმეს საიდ-უმლოს, რომელიც თქჳენ ასე უცეფ აგიხსნეს, მერწმუ-ნეთ, არ ექნება არც აწმყოსა და არც მომავალს დროში თქჳენზედ არა ვითარი მოქმედება: ამ გჳარმა გულმა როგორც თქჳენ გაქჳსთ უნდა სულგრძელებით მიუტე-ოს წარსული, და იმედი მაქჳს, რომ თქჳენც მოგვიტე-ვებთ, როგორც მამა ჩემს ისე მე, როდესაც შეიტყობთ დარწმუნდებით, თუ რისთჳსა ვარ მე ეხლა აქა.

მე აღუთქჳ ლაფონტენს, მანამ პარიჟიდამ წავიდოდი რომ მოვსულვიყავ, და გამოვსთხოვებოდი, და არ შემე-ძლო არ შემესრულებინა ჩემი პირობა, მით უმეტეს, რომ რამდენისამე წამის შემდგომ მე ვშორდები არათუ პარიჟს, არამედ სრულიად ამ სოფელსაც.

ამ სამწუხარო სიტყჳნმა მიიზიდა ყველას ყურადღება, ასე რომ თჳთ ლაფონტენის ცოლიც შესცქეროდა მას საკუთარის ლმობიერებით და მონაწილეობით.

რა გინდა სთქჳა მაგით შე საწყალო? შესძახა მამამ, ნუ თუ შენ აპირებ უდაბნოში წასვლას?

მაშინ დომინიკემ განაგრძო: უ. ფუკემ მიიღო ნება გაჰყოს თჳსი მომავალი მყუდრო ცხოვრება იმ მეგობართან, რომელიც თანახმა ექნება მას სიკჳდილამდის არ მოშო-

რდეს მას. თქუენ კარგათ იცით მამაო, რომ ფუკე იყო ჩემის სიყრმიდგან მამის მაგიერი. ყოველი ნუგეში და სიხარული, რაცკი გამომიცდია ჩემს სიცოცხლეში, მქონია მხოლოდ იმისაგან, და აი მოვიდა დრო გადუხადო მას მეცა და ვიქმნე მისი ნუგეშათ.

მე მოვახსენე ლუდოვიკს, რომ მე თქუენი შვილი ვარ, როდესაც მან გაიგონა თქუენი სახელი, მე შევნიშნე, რომ ცრემლები გარდმოსცჳნდა მას თუალებიდგან, და კმაყოფილებით დამრთო ნება ფუკეს გაყოლისა. აი ეს არის მივდივარ პინეროლში მამაო და მოველი თქუენთან გამოსათხოვნათ, ერთის დღის შემდგომ ჩემი სიცოცხლე უნდა ეკუთვნოდეს ერთს მხოლოდ ფუკეს და ამისთჳს, თქუენ ქალბატონო, უთხრა ლაფონტენის ცოლს, შეგიძლიანთ დამთვალოთ ამიერიდგან მკუდრათ და მაშინ თქუენთჳს, ვგონებ, ადვლი უნდა იყოს რომ აპატიოთ მამა ჩემს მისი წარსული!....

პასუხად ამაზედ ყველა იქ მდგომთა იყო ცრემლი, რომელიც ნაკადულათ გადმოსდიოდათ თუალებიდამ.

ლაფონტენმა ტირილით მიიკრა გულზედ ყმაწვილი კაცი და ეუბნებოდა: ოჰ შვილო? ღირსეულო შვილო ჩემო!...

იმის შემდგომ ჩაიხუტეს დომინიკე გულში მოლიერმა, ბუალომ, მოკრუამ, შამპელმა და პუანიანმა.

ბოლოს აღელვებულმა ამ საზოგადო სამწუხარო სანახავით ლაფონტენის ცოლმაცა ერთი ჴელი გაუშვრა ქმარსა და მეორე დომინიკეს და უთხრა ორთავეს:

მოგიტევებთ და გლოცავთ თქუენ ორთავეს. გთხოვთ უ. დომინიკე იყოთ ჩემი შვილი და ამიერითგან მრაცხვდეთ, როგორც საკუთარს მშობელს, ნუ დამივიწყებთ და გახსოვდეთ, როგორც მე გპირდები საუკუნოთ დაუვიწყებრობას, რომლის მოწამე იყოს ჩუენი საზოგა-

დო კეთილის მყოფი უ. ფუკე.

ერთის საათის შემდგომ დომინიკე იყო გზაში.

ლაფონტენს მალე მოეწყინა მატოტიერაში, და ერთ-ხელ ჩავარდა რა დარდიანს ფიქრებში, ყურადღებით შესცქეროდა ფუკეს პარტრეტსა, ამ დროს შემოუტანეს მას პარიჟიდამ წიგნი.

მადლობა ღმერთსა, სთქჳა ლაფონტენმა, ანბავს მაინც გავიგებ რასმეს ამ წიგნიდგან. მაგრამ გაკჳრვებულ და გახარებულ შეიქმნა ის, როდესაც წაიკითხა შემდგომ სტრიქონები:

უ. ლაფონტენ!

«მე თქჳენ მინახავხართ ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ «ერთგულ, მაგრამ თქჳენ ეკუთვნით იმათ რიცხჳს, რო-«მელთაც ყოველ დღე ხედვა კაცსა სურს. ნუ თუ აღარ «მიხჳალთ თქჳენ პარიჟში, სადაც მოუთმენლად მოგე-«ლიან მეგობრობა, პოეზია და დიდება? გიბარებთ თქჳენ «იმათის სახელით და გპირდებით ჩემის მხრით, ჩემს სახლში «ყოჳელსავემზას. იმედი მაქჳს მიიღებთ ამ ჩემს წინადადებას, «და ჩამოესახლებით ჩემთან, სადაც იქნებით როგორც «საკუთარს სახლში შორის თქჳენთა ჭეშმარიტთა მეგობა-«რთა, რომელთა რიცხჳშაც ვსთვლი ჩემს თავსა.

თქჳენი ლასაბლიერი.»

ოჵ წმინდა განგებულებავ! ვინ მისწჳდება შენს გზას? სთქჳა პოეტმა და მეორეს დღესვე ჩაესახლა ლასაბლიერის სახლში.

ლაფონტენმა დაჰყო იქ სრული ოცი წელი ბედნიერათ და სცხოვრებდა სიკჳდილამდე ლასაბლიერისა, რომლ-

საც სახელი მან ამით უკვდავ ჰყო. სიბერის დროს ლა-
საბლიერის ხშირი სათქმელი იყო ხოლმე ესე: მე შემრჩა
სიბერემდის სამი მეგობარი: კატა, ლეკჳ და ჩემი ლა-
ფონტენი.

როდესაც ლასაბლიერის სიკჳდილის შემდგომ ლაფონ-
ნტენმა დაუტეჳა იმის სახლი და დადიოდა პარიჟის ქუ-
ჩებში, შემოეყარა მას ერთხელ უ. გურჳარი, პარიჟის
პარლამენტის მრჩეჳელი, და უთხრა ლაფონტენს:

მე მოვდიოდი თქჳენთან სათხოვნათ, რომ ჩემს სახ-
ლში გადმოხჳდეთ და იცხოვროთ ჩემთან.

მე კიდეც მოვდიოდი თქჳენთან მაგისთჳსვე, მიუგო
ზღაპარით მწერალმა.

ყოფილა როდისმე ამ გჳარი წრფელი მეგობრული
საუბარი ორს მეგობარს შორის?

განვლეს წელთა, და ლაფონტენმა დასასჯელათ
თავის თავისა, შეცთომათა და მსუბუქ ჭაზროვანობისა-
თჳს თჳსისა კალმისა ჩამოიკიდა კისერზედ ჯაჭჳ, რომე-
ლიცა ნახეს მას ზედა მის სიკჳდილის შემდგომ.

გ. დიდებულიძე.

## წარმოება არაგჳს ერისთავთა

### და მიზეზი იმათის კახეთში გადმოსახლებისა.

რა ვიწყობ არაგჳს ერისთავთა მოთხრობასა, მათს უბედო სჳჱსთან მაგონდება ერთი მეფე, რომელიც ომებში შეიპყრეს და დასასჯელად შეაბეს რა ქტლში, ყოველს წამს უყურებდა ქტლის თჳალს და გაიღიმებდა. როდესაც ჰკითხეს მიზეზი, მიუგო: ეს ქჳჱყანა თჳალია და იმის მსგავსად ბრუნავს, ჩჳჱნიცა ცხოვრება სამწუხაროდ მომდინარეობს, დღეს სიღარიბე, ხჳალ სიმდიდრე; დღეს სიმდიდრე, ხჳალ სიგლახაკე; დღეს მეფობა ხჳალ მონება,

და ესრედ ხან ამაღლდება, ხან დამდაბლდება კაცის საქმე.

მართლადაც, ჩალხია კაცის ცხოვრება. ყოფილა დრო და ჟამი, როდესაც ჩამომავლობას უმეფნია და დღეს იმათნი შვილისშვილნი მავდენად აღარ იხსენებიან; ყოფილა საუკუნე, რომელშიაც ერთი ჩამომავლობა უკანასკნელის მდგომარეობით სცხოვრებდნენ და დღეს მეფობენ, უჭირავთ მრავალნი ქუეყნები და მრავალთა სხუათაცა სამეფოთა არყეეწენ თავიანთის მლიერებით, დროსა და სალხის მიხედვით ქუეყნებიც იცვლებიან. თუნდა მაგალითად ავიღოთ რამდენიმე ნაქალაქევი, რომელიც ერთს დროს ყოფილა აჴუაავებაში და დღეს შექმნილა ნატამალად, სადაცა კაცი ვერცა თუ კუალსა ჴპოვებს. არიან ალაგები, სადაცა უმოვნიათ მხოლოდ პირუტყუთა და დღეს აჴვავებული ქალაქია. ვინ მოიფიქრებდა მირიან მეფის დროს, ეხლა ტფილისი რომ არის,

იმ მეუალს და აყრილს ტყეში, ამისთანა დიდებული ქალაქი გაკეთდებოდა და მცხეთა საქართჳელოს დედა ქალაქი მდარე სოფლად გარდაიქცეოდა. აგრეთვე სხჳა და სხჳანი... კაცის გჳარტომობაც ასე მომდინარეობს. არის გჳარი, როგორც ზემოთაც ვსთქჳ, რომ ადრინდელს დროში პირჳელს კარისხზედ მდგარა და დღეს მაგდენად აღარად ჴსჩანან. ერისთავნი მამა-პაპათ ისტორიაში მეფეთა წინ იხსენებოდნენ უპირჳელეს გჳართა შორის. თჳთ ესევე სახელის გამოთქმა განმარტებს თჳს უპირატესობას და საღმრთო თუ საერო წერილები დაამტკიცებს მათს ძჳელის-ძჳელად-განვე დაწესებას: როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა მისცა ქართლი ბიზინტოს, მოუწერა წიგნი აზონ პატრიკსა, ერისთავსა ქართლისასა, რათა მსახურებდეს იგი ბიზინტოს--მაშინ იყო ადამიდგან გასული
5235 წელიწადი. მეორედ, ოდეს მოაქცია

წმინდა ნინომ ქართლი, მირიან მეფემ წმინდა ნინას და ეპისკოპოზს იოანეს თან გაატანა ერისთავი ერთი, რომელმაც მოუ- წოდა მთეულთა, ჭარელთა და სხჳა და სხჳათა, და უქადაგეს სარწმუნოება ჭეშმა- რიტი, ქრისტეს ამაღლებიდგან იყჳნენ გა- დასულნი წელნი **331**. არაგვის ერისთავ- ნიც, რომელთაც შეეხებათ ეს ჩემი მოთხ- რობა, ეგრეთჳჱ მჳჱლადგანვე მომდინარეობენ, გარნა დამტკიცებით ესკი არ უწყით, საი- დამ და რომლის გვარიდამ, თუმცა ან- ბათ მათში იტყჳან, რომ ვითომც ყოფილ- იყჳნენ პირჳჱლად გჳარად დუდარუკოვნი, ჩერქეზიდან გადმოსულნი, რომლის ჩამომა- ვლობანი დღესაც იმყოფებიან ჩერქეზში თავადობის საკელის წოდებით დუდარუკო- ვად და მათ საქართჳჱლოში გადმოსულთ მეფეთაგან ნამსახურობით მიუღიათ ერისთა- ობა და არაგვის მთელი ხეობა სჭერიათ, ქართლშიაც სოფელი შინდისი და ტირვნი-

სი, ერისთაობა ესე საკელოსავით გარდა-
ეცემოდათ ამორჩევით თჳთოს სახლობიდამ
შვილთა და შვილის შვილთა მათთა, რომის
იმპერატორმა იუსტიანმაც უბოძა ნუგზარს
სამოსელი პატივ საცემელად ერისთაობის
მოლოცვით და იყ̂ნენ მიღებულნი მეფეებ-
თან უპირუ̂ჱლესად. ჩუ̂ჱნ თუმცა ვხედავთ
გუჯრებიდამ და წერილებიდამ, რომ დრო-
ების განმავლობაში სხუ̂ა და სხუ̂ას ნათე-
საობაზედაც გადასულა, საკელო ესე, რო-
მელიც **1725** წელში იყო არაგვის ერის-
თავად მეფე თეიმურაზ, გადაყენებული იმა-
ვე წელში ისაკ ფაშისაგან, გარდა ამისა
**18** საუკუნეს დაწყებაში, ცხადად ვხედავთ
სახელებსა მრაუ̂ალთა პირთა არაგჳს ერის-
თაობის ხარისხის მქონეთა, ესე იგი, მმა-
სა გიორგისასა ბარძიმს, რომელმაც მია-
თხოვა ასული თჳსი მეფე ლევანის შვილს
სჳმონ გუსტაფს, მაგრამ მთელი არაგჳ სჭე-
რიათ ისევე საყმოთ მათ ერისთავთა და

გჳარიც არაგჳს ერისთავთა უწერიათ, ამის დასამტკიცებელად შემოვიტან ნაშთს დიდის ოჯახისას ერთს ღჳთის მშობლის ხატს, რომელიც დღესაც თჳთვე არაგვის ერის-თავთა უსჳენიათ სახლში, ის ხატი შეუ-ჭედინებიათ, გიორგის, ბარძიმს, ავთანდილს და ონოფრეს არაგჳს ერისთავთა, თჳსის სახელების წარწერით, აგრეთჳე მათს მშო-ბელს სასლის უხუცესის ზაზა ციციშჳლის ასულს მარიამს ქართულის ქორონიკონით ტნზ, და მათ ჩამომავალთ შჳლთა და შჳ-ლის შჳლთა, რომელთაც მიუღია ერისთა-ობა თჳთოს თჳთო ნაწილი მოუპოვებიათ და იმ ხატზედ გაუკეთებია, თავისი სახე-ლი წარუწერინებიათ ვიდრე ბექან ერისთავა-მდის და უკანასნელად ბექანს განუშჳენებია, 1085 წელში. მას ღჳთის მშობლის ხატს ნაწილთა სიმრავლით გამო სახელ სდებენ «მრავალ ნაწილიანად» და დოკუმენტების შემდგომ ამით სჩანს იმათის გჳარის დამ-

ტკიცება და აი საკურველი, ის ხატი იმ საშინელს ცეცხლში დაჰყოლია ანანურს და, როდესაც მოვიდნენ ხალხნი, ნახეს უვნებლად ესვენა ნაქცევში, მხოლოდ გა-ღული და ზურგ-შეტუსული!... სამშობლოში გადარჩენილმა აბაშიძის ასულმა ედიშერ ერისთავის მეუღლემ, როდესაც მომართა მღვდელს ანანურის ეკკლესიას შჳლთა თჳსთა ძველის აღსაშენებლად, მაშინ წარმოუგზავნა ხატი ესე სარიდანს მოსაგონებლად გან-ძლიერებულის ჩამომავლობისათჳს.

რადგან ჩვენი მოთხრობა შეეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, რომლითაც არაგჳს ერისთავნი კახეთში გადმოსახლებულ იქმნენ, ამისთჳს არ მოვიხსენიებ განვრცელებით, თუ შჳლნი და შჳლის შჳლნი მათნი რაოდენნი იყვნენ და თჳთოეულმან მათგანმა რა ვაჟკაცობა მოიხმარა სხვა და სხვას ბრძოლებში.—ნუთუ ქართველთ არ გაეგონებათ ნუგზარის გმირობა და მეჩჳდმეტე

საუკუნეში მისის შემწეობით დამარცხება თათარ-ხანისა ლუარსაბის მეფობაში; ანუ ზურაბის მიზეზით გამუსვრა შაჰბაზის ჯარისა, რომელსაც თანა შემწედ ჰყუანდნენ ორი ძმანი: დათუნა და ავთანდილ. აგრეთვე რევაზისაგან თავის განწირვა ბექანბეგში კულისხანის ომში. მათი ქება ჩემგან უჯეროა როდესაც თჳთ თეიმურაზ მეფე ჰბძანებს არჩილიანში«სიკეთე აქუთ მოდგმისადა» და სხვა.

ამით ჰსჩანს, რანიც ყოფილან. ახალა მე უნდა მოვიხსენიო ვისაც ხარისხი ერისთაობისა ჰქონია მათს შთამომავლობაში.

საჩუქრად თჳსის სამსახურისა მამა-პაპეული არაგვის ერისთაობა მიიღო ნუგზარმა და შემდგომ ნუგზარისა მიიღო საერისთო არაგჳ ძემან ნუგზარისამ ბაადურმა, ძემან ნუგზარისამ ზურაბმა, ძემან ნუგზარისამ დათუნამ. ძემან დათუნასმა ზაალმა, ძემან მისმა ოთარმა, ძემან ოთარისამან

რევაზმა, მემან რევაზისამ ბაადურ, მემან დათუნასმა იასონ, მემან დ̃თუნასმა გიორგიმ; მემან გიორგისამ 2 ოთარმა, მემან იასონისამ 2 რევაზმა, მემან იასონისამ თეიმურაზ, მემან თეიმურაზისამ 2 ზურაბმა, მემან ოთარისამ 2 გიორგიმ, მემან გიორგისამ 3 ოთარმა, მემან პაპუნასმა 2 ნუგზარმა: მემან პაპუნასმა 2 დ̃თუნამ, მემან ნუგზარისამ 3 ზურაბმა, მემან ნუგზარისამ 3 დათუნამ, მემან ნუგზარისამ ავთანდილ, მემან ზურაბისამ ზამიკმან, მემან ზამიკისამ 5 ნუგზარმა, მემან ზამიკისამ 4 დავითმა, რომელიც გაგზავნა მეფე ვახტანგმა რუსეთს და თჳსის გუარის უბედურებისგამო აღარც გამოვიდა რუსეთიდამ, იქ დასახლდა. შემდგომ ამა დავითის გაგზავნისა მიიღო საერისთო არაგჳ მემან გიორგისამ ბარძიმა, შემდგომ ამისა მიიღო მემან რევაზისამ ბექანმა, რომელსაც მიეცა ერთი მე სარიდან და გარდაიცვალა ბექან. რა ნახა

ბიძაშჳლმა მისმა გიორგიმ მშჳნიერება და მღიერება სარიდანისა, იდუმალ დააჭრერინა სარიდან, დაათხრევინა თვალები რათა არა შესცილებოდა ერისთაობასა. მაშინ ქჳრივმა მშობელმა მისმა წაიყჳანა სარიდან შინდისს და იქ შეირთო ცოლი რატი შჳლის ასული, ამ სურვილით, რომ მისცემოდა შჳლი და არ ამომწყდარიყო უმემკჳდროდ. არაგჳს ერისთაობა ეჭირა ამა 5 გიორგის და ჩჳეულებრივ განაგებდა ყოვლისავე. ამ ჟამათ მეფე თეიმურაზ ბმანდებოდა ღრმათ მოხუცებაში და მეფე ირაკლი გაგზავნილიყო ნადირშასთან, ამისგამო ყოველნი დიდი კაცნი იყჳნენ ერთი ერთმანერთზედ გადაკიდებულნი და უნამეტნავეს არაგჳსა და ქსნის ერისთავნი მძლავრობდნენ ურთიერთშორის თუმცა მემოყურენიც იყჳნენ, მაგრამ რომლისამე მიზეზით გადაჭკიდებოდნენ ერთმანერთს. იმ ჟამად ყოველნი სახლეულობანი მათნი იყჳნენ ერთობ შეკ-

რებილნი თჳსის სადგომს ანანურის ციხე ხასახლეში, გარდა ზემოხსენებულის დავითისა, რომელიც გაეგზავნათ რუსეთში და ობოლის ბექანის მის სარიდანისა, რომელიც იყო შინდისში.—ვაღჯარებ, რომ ამ უკანასკნელმა გიორგიმ არაგჳს ერისთავმა უნამეტნავეს აღანთო ცეცხლი წინააღმდეგობისა თჳსის განძლიერებულის გვარის მოსასპობელად და მრავლის უმანკო სისხლის დასანთხეველად. ერთს დღეს, ესე გიორგი ერისთავი გამოვიდა სანადიროთ თჳსის ხალხით და აზნაურებით დუშეთამდის და გზის პირზედ დაინახა გიორგიმ მრავალნი ცხენოსანი დიდის ბარგით და ამალით მიმავალი, უბრძანა ბიჭებს, რათა შეეტყოთ ვინაობა მათი, რომელთაც აცნობეს ესრეთ იასე ქსნის ერისთჳს ცოლი მობმანდება: შჳლებით კახეთს თავის მამა საზჰწრელ ჩოლაყაშჳლთანაო. მაშინ გიორგი გაწყრა და უბრძანა ერთობ მოსამსახურეთ

წადით, მოეწიეთ, ის ქალი აქ მომგვარეთ თავის შვილებით და მოახლებით, ბარგი გადაუყარეთ და მსახურნი დაულახეთ, როგორ გაბედეს ჩემს მამულზედ გამოვლაო. ისინი საჩქაროდ მოეწივნენ მსახურ აზნაურნი დაულახეს ბარგი გადაყარეს, და ქეთევან ერისთვის ცოლი თავის შვილებით დავით და სალომეთი გიორგის მოართვეს. გიორგიმ მაშინვე ესენი სანჯალსანს წარმოუგზავნა ტფილისში, რომელიც დაეყენებინა ნადირშას. ამან გაგზავნა ესენი ნადირშასთან ტყვედ ხორასანში მოსამსახურეთ, ეს ამბავი იასეს და შანშეს აცნობეს, რომელნიც დიდს მწუხარებას მიეცნენ, გაანჩხლებულმა იასემ მსწრაფლადვე მისწერა სიმამრს წიგნი, გამოუცხადა ყოველი შეურაცხება გიორგი ერისთავისაგან მიყენებული და სთხოვა, შემწეობა მოეცა, რადგან თვით მარტო თავისის ხალხით არ შეეძლო არაგვის ერისთავთ ბრძოლა. ჩოლაყაშვილი იმ

ქამათ იყო თუშეთის მოურავათ, რა ეს წიგნი მიიღო საზვერელ ჩოლაყაშვილმა, შეკრიბა თუშთაგან ჯარი, მოისმო ჯამაგირით დაღისტნის ლეკნი და გამოატანა თავის აზნაურნი, მისცა დარიგება, რათა არაგვს ერისთავთა იდუმალ გადავლონ თიანეთზედ და იქიდამ აცნობონ იასეს და შანშეს, რომ ისინიც თავის ჯარით შეერთდნენ და ისე შემოეჰჴვნენ ანანურში არაგვს ერისთავთა: მანამ შამშე ამ ლეკის ჯართან მოასწევდა, მანამ მრავალ ადგილს დაესხნენ ლეკნი და მრავალი ხალხნი მოსრეს, რა ქსნის ერისთავნი მოვიდნენ ამათთან მაშინ მიმართეს შუაღამისას ანანურის ციხე სასახლეს, უეცრათ სცნეს არაგვის ერისთავთ მოულოდნელად ჯარის თავს დასხმა და ვეღარ მოასწრეს თავიანთ ხალხის შეკრება მხოლოდ დაკეტეს ცისის კარები, რომელშიაც ჰქონდათ ცოლშვილით მოსახლეობა და იქ გამაგრდნენ.—იყო ძრიელი და ფიცხელი

ომი მრთელის ორის კჳრის განმავლობაში, მაგრამ ციხე ანანურისა ვერას გზით ვერ აიღეს, ერთი შინაური მსახური გჳარად ზოდიკაშჳლი მოისყიდეს და წყალი მოუ-ჭრეს, რომელიც დაფარულად მომდინარე-ობდა ციხეში, ეგონათ იმით უეჭჳელად აღება, მაგრამ გიორგი არაგჳს ერისთავმა შანშესა და იასეს მესამეს დღეს ციხიდამ გამოუგზავნა ცოცხალი ორაგული და შე-მოუთჳალა: თუმცა შენ წყალი მოგჳჭერ, მაგრამ წყალიც უსჳათა გჳაქჳს და სავსე აუზები ორაგულებითაო. აი დასამტკიცებ-ლად მოგართჳთ ცოცხალი ორაგულიო. ამის გამგონნი შანშე და იასე შეწუხდნენ და უიმედონი შეიქმნენ ციხის აღებაზედ, ჯარშიაც ეს ხმა გაისმა და ლეკთ მოცი-ქული მოუგზავნეს, ჩჳენს ჯამაგირს გაგჳ-სწორდით, რადგან ციხის აღება ასე გამ-ნელდა წავალთ ჩჳენს ქჳეყანაშია, ამდენი ხალხი დაგვეხოცაო, შანშემაც ნება მისცა.

მეორეს დღეს აიყარნენ და რა დააპირეს დაბრუნება, ცისიდამ არაგჳს ერისთავთ გადმოჰსძახეს «ოლოლო, ოლოლო», გეგონათ აილებდითო, მაშინ გაანჩხლებულთ დიდხანს იფიქრეს, რავქნათ და რა მოუხერხოთ ამათაო. ზოგი ერთთ უჩივეს. ამის მეტი ღონე არა გვაქჳს ციხეში დეკანოზი მიუგზავნოთ, რაც შეწუხება მოგეცით მოგჳტევეთ და ყოჳელი მტრობა მოვჰსპოთ, ჩემს ქალსაც შენს ძმას ზალს მივსცემ და მოყჳრობათ შევსცჳლითო, რა ისინი კარებს გაალებენ მაშინ ჩჳენ შეჳესივნეთ და ამათს ჯავრს ნუ შევარჩენთო. ამ ზემო აზრის შეთვლილობით დეკანოზი მიუგზავნეს და დაარწმუნა ამ შეთვლილობაზედ, მაშინ იმათაც შემოუთჳალეს; მობრძანდით თქჳენის ხალხით ციხის კარებთან საღმრთოს წესით დაიფიცეთ, რაც შემოგითვლიათ ჭეშმარიტი იყოს, ეგ ლეკის ჯარი დაითხოჳეთ, წავიდნენ და ბატონი ბრძანდებით ჩჳენც თა-

ნასმანი ვიქნებითო; რა მოციქულმა ეს პასუხი მიუტანა, მანმეს იამა და ლეკის ჯარი იდუმალ დაარიგა: მოშორებით დაიმალენით, როდესაც ციხიდამ თოფის ხმაურობა შემოგესმათ, დაბრუნდით და შემოუტიეთო, ეს ჯარი ამ დარიგებით გაისტუმრა, თჳსის ხალხით ციხის კარებთან მივიდა და შეჰფიცა, მაშინ გიორგი არაგჳს ერისთავმაც კარები გააღებინა, ესენი მსწრაფლადვე მტრულად შეესივნენ და თოფის ხმაურობაზედ ლეკის ჯარიც საჩქაროდ მოეშჳელათ, შეიქნა საშინელი სისხლის ღჳრა, ხოცდნენ უწყალოდ, ქალები შჳლებით შერბოდნენ ანანურის ეკკლესიაში, რათა თხოვასა და ვედრებასა მათსა დაეფარა, მაგრამ შჳლს დედის თჳალთ წინ ანარცხებდნენ, და დასა და ძმას ერთმანერთს ახოცდენენ იყო ერთი საშინელება და შეუბრალებლობა ამ ციხეში და ეკკლესიაში, უკანასკნელ წაუკიდეს ცეცხლი, რომ დამალვით

აღარავინ გადარჩენილიყო დაწვას და დას-
დაგეს ერთის უპირველესის თავადის მშვე-
ნიერი მდგომარეობა.

ერთის სიტყვით, თვრამეტი სული მამა-
კაცი არაგვს ერისთავთაგანი მოსწყდა ქა-
ლებს გარდა, მსასურ-ასნაურ შვლებით, რო-
მელთა სისხლი დღესაც აჩნევა ნაქცევებს.
როდესაც ეს უბედური შემთხვევა ესმა
შინდისში სარიდანს და მის სახლობას,
ამას ყოვლი კაცი თვალთწინ წარმოიდ-
გენს თუ როგორს მწუხარებას მიეცემოდნენ
და იმავე ღამით გამოიპარნენ კახეთისაკენ
მეფე თეიმურაზთან რათა ისინიც არავის
დაეხოცათ, მეფე თეიმურაზ იმ ჟამათ ბმან-
დებოდა ველის ციხეს, სარიდან იქ იახლა
და აცნობა ესე ვითარი უბედურება, რო-
მელზედაც მეფე თეიმურაზ დიდს მწუხებას
მიეცა და სარიდან ცოლშვლით თვსთან
იახლა სასახლეში, ამ ნუგეშს უბმანებდა:
დღე დღეულობით მოვლი ჩუმს ირაკლის

და მაშინ მე ვიცი, სარიდანმა ეს ამბავი რუსეთშიაც აცნობა თჳს ბიძაშჳლს დავითს, რომელიც ამ ხმაზედ აღარც გადმოვიდა. რამდენსამე დროების განმავლობაში მობძანდა მეფე ირაკლი ნადირშადამ და დიდის პატივით მიიღო სარიდან და მისი მეზჲან. როდესაც წამობძანდა თელავში, ესენიც თან წამოიყვანა და სარიდანს უბოძა კახეთის მდივანბეგობა, ჯამაგირი და ულუფა, ანუგეშებდა: მომითმინეთ, ხომ ხედავთ ამ შემოხვეულთ მტერთ, დროება არა მაქვს და როდესაც, მოვიცლი, მე გადმოგყვებით არაგვზედ და მე ჩაგაბარებ შენს მამულსაო, ამ ამბავში მიდიოდა დროება, იცვლებოდა ხალხის ფიქრი და აზრი.

მეფე ირაკლიმ არაგვზედ გამგებლად გაგზავნა ჯიმშერ ჩოლაყაშჳლი, რომელიც არაგველებმა მოკლეს, ჩვენ ეს რათ გვნდა ჩვენ ჩვენი ბატონი გვბოძეო.

ამ მწუხარებაში სარიდან გარდაიცვალა,

მეფე ირაკლიმ მამისვე ადგილი მდივან ბეგობისა ბეჟანს უბოძა და უბძანა, რადგან არაგჳზედ უჩემოთ არ მისჳალ, მოდი აქ კახეთში მოგცემ ოთხს უპირჳელესს სოფელს და აქ დასახლდიო, მაგრამ ბეჟანმა ეს მეფის ბძანება დიდათ იუარა, შემდგომ აქა-იქა ურჩივეს, სასახლიდამ გადი, ერთს უბრალო სოფელში დადექ სადმე ხიზანივით და არც მაშინ დაგაბინაჳებს შენს მამულზედაო, მაშინ ბეჟან ერისთავმა დაიწყო სიარული აქა-იქ მახლობლად თელავის სოფლებისა და ეძებდა შენობას რასმე თჳს გადმოსასვლელად სადაცა ნახა სოფელს ქისტაურში ერთი ბურჯი აშენებული და მცირედი გლეხნი, განიზრახა იქ გადმოუყჳანა სახლობისა ხიზანივით, რომელიც კიდეც აღასრულა, როდესაც ჰსცნო მეფე ირაკლიმ, დაიბარა ბეჟან და კჳალადვე უბძანა, მოდი გამიგონე, დასთმე არაგჳ, აქ აღირჩივე სადაცკი გინდა სოფლები,

ხედამ ჩემს მოუსჳენებლობას მტერნი შემომსჳევიან, და თან ვერ მოვდევ მაგრამ ბექანს სამშობლო მამულის სიყჳარული არ ამლევდა დათმობის ნებას, და იყო დარჩომილი ამ მცირეს მამულზედ ხიზანივით.

გიორგის მეფობამდის ასე დღე დღეულობით დარჩნენ. როდესაც გიორგის უპირებდა მეფე ირაკლი გჳრგჳნის კურთხევას, მაშინ ბექან. იახლა მეფე ირაკლის და შეაბრალა თავი. მეფემ ქისტაურის დოკუმენტი უბოძა ამ სახით: გიბოძე შენ ბრწყინჳალეს გჳარის არაგჳს ერისთავს სარიდანის ძეს ბექანს, და სხჳა... შემდგომ უბძანა მანამ არაგჳ ჩავბარდებათ ეს ქისტაური გეჭიროთ და მერე თქჳენი მამული გეყოფათ თქჳენაო.

ამ ბექანს მიეცა სამი ძე: რაფიელ, გიორგი და იოსებ, ამ ჟამად რადგან საქართჳელო შეერთებულიყო რუსეთს და იმპე-

რატორმაც წარმოგზავნა ციციანოვი გამგე-ბელად საქართჳჱლოში, ამ ციციანოვმა რა განიხილა სიმართლე არაგჳს ერისთავთა და დროებით დარჩომა მათი მცირეს მამულში, აცნობა კელმწიფეს და ჩააბარა არაგჳ ბექანს და შჳლთა მისთა რაფაილს, გიორგის და იოსებს ერისთავთა, გარნა ამათმა უბედურის შთამომავლობის· ჴვემ უწია და გარდაიცჳალა ციციანოვი, შემ-დგომთა პირთა: გუდოვიჩმა და ტურმუსოვმან შესცჳალეს აზრი ცინიანოვისა და მსწრა-ფლადვე დაატევებინეს არაგჳ, ქისტაურის ჩამორთმევაც მოინდომეს, **1825** წელში როდესაც ერმალოვი განაგებდა საქართჳჱ-ლოს, მისის შუა მდგომელობით ველარ განაუქმეს მეფე ირაკლის ნაბოძები დოკუ-მენტი და დაუმტკიცდათ ქისტაური და პენ-ცია საშჳლისშჳლო დ, სანაცვლოდ ათი ათა-სის კომლისა.

ეს არაგჳს ერისთავთა ჩამომავლობის

მოთხრობა და მიზეზი იმათის გადმოსახლებისა მოკლებულია ვრცლად აღწერასა, ყოველს ისტორიულს მშჳენიერებასა და ისტორიულს ჴელოვნებასა მაგრამ დარწმუნებული ვარ მკითხჳელნი მიუტევებენ ჩჳენს სუსტს კალამსა. იქნება ეს მოთხრობა რომელთამე პირთა საწყენათაც მოიღონ, მაგრამ ამ მოთხრობის დაწერის სურვილი განაღჳძა ჩემში ერთის მხრივ იმ სამწუხარო მსჳედრმა, რომელიც ხშირად ჰსწჳევიათ არაგჳს ერისთავთა და მეორედ რა რომ ჩჳენცა ვართ ერთი იმ გჳარის შთამომავალთაგანი და შჳლის-შჳლის ასული უკანასკნელის ბექან ერისთავისა. ყოველს გამოჩენილს გჳარს ვალად აწევს აღწეროს რაოდენიცა შესაძლოა თჳსი გჳარტომობა, რომლით შეივსება ჩჳენი მამაპაპათ ისტორია.

კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა.

**1861** წელსა, **12** სეკტემბერს.

## სიტყვა,

თქმული ახალ წელს ჩუენის გამზრდელ ეპისკოპოზისა მიერ, ქუთაისის სობოროში.

პირჳელსა ამას დღესა ახლისა წლისასა, ძჳელისა ჩჳეულებისამებრ, ჩჳენ ყოველნი, ძმანო ქრისტიანენო, მიულოცავთ ახალსა წელსა და დავულოცავთ ურთიერთთა მსურველნი ყოვლისა სიკეთისა და წარმატებისა. არცა მე უარვყოფ, ძმანო ჩემნო, ჩჳეულებასა ამას, ვინაჲდგან არ არის ურიგო, წინააღმდეგი სჯულისა; მეც მსურს მოგილოცო თქჳენ ახალი ესე წელიწადი. გარნა რა უნდა ვისურვო მე თქჳენთჳს და

ყოვლისა ჩემისა სამწყსოჲსათჳს, და როგორ უნდა დავლოცო ყოველნი სულიერნი ძენი და ძმანი? ნუ თუ მეც ისთე დავლოცო როგორც ურთიერთარს გაქუსთ ჩუეულება, ესე იგი რათა ღმერთმან მრავალი ამისთანა წელიწადი დაგასწროს, ტკბილათ დაგაბეროს, გაგამდიდროს და სხუანი? რასაკჳრველია, არც ეს არის ურიგო და კიდეც მსურს და ვევედრები ღმერთსა ყოველი ესე მოგანიჭოსთ თქუენ თჳსითა მადლითა. გარნა, ძმანო ჩემნო საყუარელნო, უმჯობესი რაჲმე გითხრა თქუენ და უძჳრფასესი ამათ ყოველთა ვისურვო თქუენთჳს. რა? მოიხსენეთ რომ მე ვარ სულიერი თქუენი მოძღუარი; და ახლა ჩუენ ყოველნი ვსდგევართ ტაძარსა შინა ღუთისასა, ამისთჳს ყოველი სოფლიური სურვილი დაუტევოთ სოფელსა და ჩუენ ვიფიქროთ რაჲმე სულისა.

პირუელად მსურს და ვევედრები ღმე-

რთსა რომ ამ მდგომარე წელიწადს ჩჳენ ყოველნი უმჯობესნი შევიქმნეთ სულითა და გულითა; მსურს, რომ სულიერობა მოგვემატოს, ესე იგი არა მხოლო გარეშეობით ვასრულებდეთ სჯულსა ჩჳენსა, არამედ სულიერად, არა თუ მხოლოდ მოვისმენდეთ წირჳა-ლოცჳასა ეკკლესიაშიდ, არამედ, რაც ეკკლესიაშიდ გვესმის, მას სოფელში და სახლში აღვასრულებდეთ; არა თუ მხოლოდ მოვნათვლიდეთ ძეთა ჩჳენთა, არამედ აღჳზრდიდეთ ქრისტიანობრივად; არა თუ ერთხელ მხოლოდ წელიწადშიდ მოვინანებდეთ ცოდვათა და ვეზიარებოდეთ და მერმეთ ისთევე მივაქცევდეთ გულსა უწინდელთა ცოდვათადმი; არამედ რაც ერთხელ მოვინანიეთ იმას მეორედ აღარ ვიზამდეთ. ერთის სიტყჳთ შევიქმნეთ სრულნი ქრისტიანენი.

მეორედ, ვინაჲდგან დღევანდელი დღე ცხადად გვაჩჳენებს ჩჳენ, ვითარ მოკლე

არიან დღენი ცხოვრებისა ჩუჱნისანი და თჳთოეული ჩუჱნგანი ერთითა ნაბიჯითა მიეახლა სიკუდილსა და საფლავსა, ვინაჲდგან მოაკლდა ცხოვრებასა მისსა ერთი წელი, ამისთჳს ვისურუჱბ და ვევედრები ღმერთსა რათა დანარჩენი დღენი ცხოვრებისა ჩუჱნისანი მოვახმაროს კეთილად და სულისა ჩუჱნისათჳს სასარგებლოდ; რათა უქმად დროებასა არავინ ატარებდეს, ქალებნი ლოტოს თამაშობითა არ ჰკარგავდენ დროსა, თჳსსა, არამედ მოახმარებდენ ოჯახსა თჳსსა: რათა კაცებნი ქაღალდის თამაშობაში არ ღუპავდენ მრავალთა საათთა; ღამეს დღედ არ გარდააქცევდენ და დღეს ღამედ, ერთის სიტყჳთ, რათა ღმერთმან მადლითა თჳსითა შეგვაგონოს თუ ვითარ ძჳრფასი არის კაცისათჳს ყოველი წამი.

ბოლოს ვისურვებ და მხურვალედ ვევედრები ღმერთსა, რათა მოგვცეს ჩუჱნ ერთობა და სიყუარული, რომელი არს ნი-

შანი დამამტკიცებელი სულიერისა წარმატებისა, საუნჯე დაუფასებელი, გჳრგჳნი ქრისტიანობრივისა ზნეობისა.

ახლა, ძმანო ჩემნო ყოვლად საყუარელნო, ვინაჲდგან მე დავლოცე თქუენ და ვისურვე თქუენთჳს ყოველი, რაც ვიცოდი უმჯობესი, თქუენ გმართებს დამლოცოთ მე, ისურვოთ ჩემთჳს რაჲმე კარგი რა არს ჩემთჳს საჭირო, და რა უნდა ისურვოთ თქუენ ჩემთჳს?

პირუელად ევედრეთ ჩემთჳს ღმერთსა, რათა მომცეს ძალი და მადლი კეთილად და ჯეროვნად ვემსახურო წმიდასა ეკლესიასა, ესე იგი თქუენსა ცხოვრებასა, ვინაჲდგან თქუენ და ჩუენ ყოველნი ვართ ეკლესია ღუთისა.

მეორედ, ისურვეთ ჩემთჳს, რათა სიტყუათა და დარიგებათა ჩემთა ჰქონდეთ კეთილი ნაყოფი და მოქმედება, რათა ყოველთა მსმენელთა ჩემთა იცნან რა მსურს

მე და რას ვცდილობ. არიან ვიეთნიმე პირნი, რომელნი მემდურებიან მე სწავლი-სა და მხილებისა ჩემისათჳს და არ მოსწონთ რომელნიმე საქმენი ჩემნი, ევე-დრეთ ღმერთსა, რათა სცნან ესე ვითართა პირთა, რომელ მე თანამდებ ვარ ისთე ვიქცეოდე, როგორც სჯული და სჳნიდისი მიბძანებენ მე, შეიტყონ მათ, რომელ მე თუ მხოლოდ ის ვქენი და ის ვსთქჳ, რაც მათ ესიამოვნება მეშინია, პირუ̂ელად არ გამოვსჩნდე ღ̂თის წინააღმდეგი და მეორედ მათიც მავნებელი და წარმწყმენდელი.

ბოლოს, საყუ̂არელნო, ერთობ ყოველნი მივიქცეთ მსურუ̂ალითა ვედრებითა მაცხო-ვრისადმი, რათა იყოს ჩუ̂ენდა შემწედ, მფა-რუ̂ელ განმავლობასა შინა ახლისა ამის წლისასა.

თუმცა ცოდვილნი ვართ, მაცხოვარო ჩუ̂ენო, თუმცა არ ვასრულებთ ჯეროვნად შენთა მცნებათა, გარნა მაინც შენი ვართ,

შენსა სახელსა ვესავთ, მჳჵლიდგან, ვათარ-
ცა წინაპარნი ჩუჵნნი, ეგრეთვე ჩუჵნ,
ვითარცა იგინი დაიცვევ მრავალთა ჭირთა
და განსაცდელთა შორის ვიდრე აქამომდე
და ქუჵყანა ესე ჩუჵნი შეიყჳანე მყუდრო-
სა ნავთ საყუდელსა შინა, ეგრეთუჵ ჩუჵნ-
თჳს იყავ შემწე და მფარუჵლ უკუნისამდე
ამინ.

---

## სალაყბოს ფურცელი.

მიზეზი მოლაყბის გაჩუმებისა.—კეთილ საქმეზედ ლაპარაკი და იმისი უნაყოფობა; თავის გამომცემთაგან.—მუწლი სალაყბოს მეიდანი და იქ მოქმედნი პირნი.—ბევრი ლაპარაკი და იმისი ნაყოფი.—წარმოდგენა ქართულის კომედიისა სასარგებლოს საქმისათჳს.—საზოგადო სჯა ახლანდელთ ზოგი ერთთ პირთზედ-

რამდენმა საუკუნემ, რამდენმა წელიწადმა, რამდენმა თუემ და რამდენმა დღემ განვლო რაც დადუმდა ზარმაცი ენა მოლაყბისა? ბევრმა კეთილნო მკითხუელნო, მრავალმა წლებმა განვლეს სულით და გულით საყუარელნო ცისკრის მოტრფიალენო! საუკუნებზედ და წლებზედ იქნება განკჳრდნენ ზოგნი თქუენგანნი, მაგრამ გასაკჳრველი და გასაოცარი ქუეყანაზედ არა არისრა, ერთის თჳს მცონარება ლიტერატურაში შეადგენს მრთელს საუკუნეს და ერთის საუკუნის შემდეგს, ერთის თჳს სიტყჳერებითი მუშაკობა იქნება იმისთანა ძჳრფასი იყოს, რომ მრავალთ საუკუნებში დაუვიწყარნი იყუნენ. (ძჳრ-

ფასს, არ მიუაწერ ჩემს სალაყბოს ფურცელს, მხოლოდ მოგახსენებთ საზოგადოდ)... დიახ! დადუმდა მოლაყბე; გაჩუმდა სალაყბოს მწყერი; მოკლდა თქუენთან ლაზღანდარობითის საუბარსა ყოველს ჩუენს ნაკლულებაზედ; დაკარგა ძჳრფასი დრო, ის დრო, რომელშიაც ყოვლის გვარის ხალხი მიდის წარმატებაში, ჩუენ პირ დაღებულები შევსცქერით და მხოლოდ ერთი ერთმანერთის კიცხუას უნდებით.—ეს გახლავთ ჩუენი წარმატება და ამაში განვითარება, ეს გახლავსთ ჩუენი ბევრი ლაპარაკის ნაყოფი; ეს გახლავსთ იმისგან გამონაცემი სიტკბოება, რომლითაც შევიკრიბებით ხოლმე, მოვყუებით, ვყაყანებთ,—ძუელის წიგნების ბეჭუდასაც ვაპირებთ, სასწავლებლების დაფუძნებასაც, ღარიბების შემწეობასაც და საქმით სრულებით უქმდება ეს განზრახუები, ლაპარაკი და ბევრი თავს გამოდება მიდის ამაოთ! სისხლით მევსება გული ამ გუარს ჩუენს მშუენიერს თჳსებაზედ; გული მემსჭუალება ამ გუარს მამულის სიყუარულზედ; ცრემლები მოდიან ამ გუარ... მაგრამ მაინც ჩემი გაჩუმების მიზეზი ვერა ვსთქჳ, აი ბატონებო რა გახლდათ მიზეზი: ამ ჩემის გაჩუმების დროს განმავლობაში, ბევრი რამ სასარგებლო საქმეების დაწყება მოხდა ჩუენს ძჳრფასს ქუეყანაში! ქართუელების წესით შედგნენ დასები, რიგი აპირებდა სასწავლებელის დაფუძნებას, რომელზედაც ახლაცა ლაპარაკობენ, რიგი ღარიბების შემწეობას; რიგი ღარიბების შჳლების რუსეთში გაგზავნას. ძუელის წიგნების ბეჭუდას ხომ ნუღარ იტყჳთ, სიები იყო რომ დაჰქონდათ აქა-იქ. ამ ძუელის წიგნების ბეჭუდასაცა სხუა და სხუა დასები ჰყუანდა შედგენილი, რომელნიცა იქნება ახლაცა არსებობდნენ. რიგი აპირებდა სახარების დაბეჭუდას, ზოგი სამოციქულოსას, ზოგი ლოცუებისას მაშინ, რომელსაც რომ რამდენიმე დაბეჭდილია და თჳთან ის თავს

გამომცემნიც არ არიან მყიდველნი, ზოგნიკი ფიქრობდნენ, ფიქრობდნენ და ვერას გზით ვერ მოიფიქრეს და ვერ მისწჳდნენ, თუ რა წიგნი დაბეჭდონ და საიდგან რა მოიპოვონ. ერთის სიტყჳთ, ვერასგზით ვერ მიაგნეს ძველს წიგნს. მართალს საქართველოში ვერცა თუ ერთი ძჳელი წიგნი ჰპოვეს! ახ! დიდებულო ღმერთო! რამდენის თჳსების გჳარი ხალხი ჰსცხოვრებს ქჳეყანაზედ.—აი მიზეზი ჩემის გაჩუმებისა. მე მხოლოდ შორითგან უყურებდი გაჩუმებული; მსურდა რა შემეტყო, თუ რით გათავდებოდა, რომ ისე მიმეცა ანგარიში «ცისკრის» მკითხჳელთათჳს.—ბევრი ლაპარაკი შერჩათ იმ ბატონებს, საქმითკი გამოვიდა,—არაფერი! და ესეც მეტი. საკიცხავათ დავიდექით სხჳათა ენის ხალხთათჳს. ამას გარდა, თჳთქმის ჩაშალა ამ სიების ტარებამ და ბევრმა თავგამომცემთ აქა-იქ სიარულმა, ნამდჳლი განზრახჳა. «გალმასობის» დაბეჭდვა, რომლისაც თავს გამომცემნი იყუნენ.. ეჰ, ამასკი აღარ ვიტყჳ ვინც იყჳნენ... ამასკი ვიტყჳ, რომ ამ გჳარის დასებით და უთანხმოებით იშლება ყოველი კეთილი საქმე, ამ უთანხმოებით არევის გზა ჩჳენს სამშობლოს ენას, ამ უთანხმოებით ილუპება ჩჳენ წინაპართაგან სისხლის დანთხევაში დაცული ჩჳენი სიტყჳერება. სულ ხუთნი თუ ათნი მჩხაბავნი არიან; სულ ხუთნი თუ ათნი ქართჳელნი ვართ დარჩომილნი და ეს ხუთნი თუ ათნი ხუთ და ათ დასადა ვართ გაყოფილნი ერთი ერთმანერთის საწინააღმდეგოთ. ძალიან ბევრს რასმესკი გავარიგებთ! ამას გარდა, ამ ხუთში თუ ათში ზოგი დიდს პოეტობაზედ სდებს თავსა, ზოგი დიდს პატრიოტობაზედ, ზოგი წჳრილმანი ხალხნი დიდს არისტოკრატიობაზედ და ინდოურსავით იბერება, ზოგი... აი, ახლა უნდა ყოფილიყო სალაყბოს მეიდანი, იქ საზოგადო ხმა დასჯიდა ამ გჳარის ხალხის მავნებელთა პირთა და დააყენებდა სწორე და სასარგებლო გზაზედ,—მაგრამ სადღაა სალაყბოს მეიდანი? სადღა არიან სალაყბოს მეიდნის ჩირალნი? სადღა არიან სალაყბოს მეიდნის დამაშჳენებელნი პირნი? რომლის კუთხისაკენ მიიმალნენ სა-

ლაყბოს ჟურნალისტები და სალაყბოს გაზეთების რედა-
ქტორები? გაუქმდა სალაყბოს მედანი; ბუნების წესის
მიხედვით მტჳრათ შეიცჳალნენ იმ სალაყბოს ჩირაღნი;
სალაყბოს მეიდნის პირთ ძვლებიც აღარ არსებობენ;
ჟურნალისტები და რედაკტორები დიდი ხანია გამოაწყდ-
ნენ თავიანთს შესაკრებელს მეიდანს;—სალაყბოს მეიდანი
იყო საყჳარელნო მკითხჳელნო, როგორც, თუ გახსოვთ
ერთხელაცა ვსთქჳ იმ ალაგს, სადაცა ახლა არის არქიელის
სადგომი სახლები. იქ ყოველთჳს შეიკრიბებოდა ქართ-
ჳელთ საზოგადოება; იქ ყოველთჳს გაიგებდა კაცი ახალ-
ახალს ამბავს, ჩამოჯდებოდა ერთ ერთი მოხუცი ქჳაზედ,
შემოეხჳეოდნენ გარს სხჳანი და მოჰყჳებოდა... ახლა,
ვიდრე გაზეთში გადასცემენ დასაბეჭდავათ ახალს ამბავს
იქ მინამდისინ ტელეგრაფსავით გარემო სოფლებშიაცკი
გარდაეცემოდა. ახალ ახალის ამბავის მომტანნი პირნი
გახლდნენ სიტყჳთი ჟურნალისტები და სიტყჳთივე რედაკ-
ტორები. იმათი მოსამართლე იყო სალაყბოს მეიდნის
საზოგადოება, თუ მართალი იყო მოუწონებდნენ
და თუ ტყჳლი დაუწუნებდნენ. თუ საზოგადოების ზიანის
მიმცემი პირი აღმოჩნდებოდა იქავე ჩააქჳავებდნენ და ახ-
ლანდელსავით ყველგან არ მიიღებდნენ პოლიტიკით, და
იქჳე გათავდებოდა საქმე. ახლა სალაყბოს მეიდანი შე-
ცჳალა მეჭორიკანავეთ მეიდნებად. საჭორიკანაო მეიდანი
ყოველს ალაგს არის, ბულვარზედ გაივლით, იქ შეიტყობთ
და ყურს მოჰკრავთ ტყჳლათ მოტასტალეთაგან ჭორიკა-
ნაობას, კლუბში შეხჳალთ ამ გვარი მეიდანი იქ დაგხვდე-
ბათ, თეატრში, მაინც არ აგცილდებათ; ერთის სიტყჳთ,
რომლის კუთხისაკენ, სახლისაკენ და მეიდნისაკენ არ უნდა
გაიარო, რომ მეჭორიკანაები იქ არ შეგხჳდნენ. მაგრამ
ეს მიბძანეთ, იმათს ლაპარაკში სიმართლეს ჰპოვებთ რა-
სმეს? იმათი ლაპარაკი არის სავსე სიცრუითა ასე, რომ ბაყი არა
სქვთ. ვინ არიან ამ ალაგებში მოქმედნი პირნი? რო-
გორც ზემოთა ვსთქჳ არისტოკრატიის მიმდევნი პირნი
და ზოგნი ერთნი ახლანდელნი განათლებულნი კაცნი, გრ-
ძელ მაუნტიანნი, მხრებ აწევით და იღლიაში ჯოხ ამო-

ჩრილები. შეუტყუჯათ იმ ბატონებს ალის მომკჳდარაო და ისკი არ იციან, რომელი ალია? აი ბატონებო, ზოგნი ერთნი ამ გვარნი პირნი გახლავან ყოვლის კეთილის განზრახვის არათუ შემწყობის მიმცემნი,—წინააღმდეგნი. ამ გჳარნი მანჟეტებიანნი გახლავან, რომელნიცა სადაცკი დასხდებიან, მოჭყჳტბიან, ლაპარაკობენ, ამ გჳარ ჩაგონე-ბით აცდენენ დარბაისელთ პირთ და როდესაც ვგონებთ საზოგადო რამ გაკეთდებაო, ველით, ველით და ვხედავთ რომ მტკჳრის მდინარეს კასპიის ზღჳსათჳს მიუცია ამ გჳარი საზოგადო დაწყება. მოდით და ახლა ეძიეთ უმი-როს ზღჳაში. აბა ახლა ავიღოთ სხჳა გჳარი ხალხი, რო-მელიცა არც მანჟეტებს მისდევს, არც იღლიაში ჯოხი აქჳს ამოჩრილი, რა არის თქჳან განათლებული ფრანტიაო, არც მხრებ აწეული დადის და არცა ლაიკის ფერჩატკებს ეწყობა. მხოლოდ თავ ჩაღუნვილი დადის, გრძნობს ყო-ველსავე ჩჳჵნს ნაკლულევანებას. იმის სახითგან გამომე-ტყჳჵლებს რაღაც გულმტკინჳჵულება, ჩუმად, ხიმშჯდით შეხჳდება ხოლმე მცნობთა და ზოგჯერ წამოიძახებს თჳთოს სიტყჳას, რომელსაცა არა ვითარი გავლენა აქჳს მსმენელთზედ, რადგანც განათლების ნიშანი მანჟეტები არა აქჳს, აბა ამ გჳარმა პირმა, ამ გჳარათ სასწავლებე-ლითგან გამოსულმა ატაროს სია ძჳჵლის წიგნების და-საბეჭდავათ, დარწმუნებულნი ბძანდებოდეთ, გამოაგდე-ბენ სახლითგან ამ სიტყჳთ: წადი ჯერ განათლდი, ისწავ-ლე და შემდგომს დაგვანახჳჵ ეგ შენი ტუტუცი და გა-უნათლებელი თავიო. (არ ვიცი რას ეძახიან განათლებას, შანაგან თჳსებას და ღირსებას, თუ გარეგან შემხედაობას?.. ისკი არ ვიცით, რომ ამათ იქნება უფრო უმანკო სული და გული აქჳსთ, ვიდრე.... აქ შევასვენებ საქართჳჵლოს ბატის გამონაცემს კალამს, ზოგს მოვილაპარაკებ შემდგო-მში და უფრო იმ გჳართა პირთზედ, ანუ იმ გჳართა «ცვილიზაციის» გონიერთ ცუოველთზედ. რომელნიცა ყოვ-ლის ღონის ძიებით მეცადინეობენ, ეჩჳჵნონ ჩჳჵნს სა-ზოგადოებას პირჳჵლ კაცად და პირჳჵლ კეთილის მყოფელად საზოგადოს საქმისა, ამ გჳარნი

პირნი ყოველს წრეზედ თამაშობენ თავიანთს როლს, სასწავლებელის დაფუძნებაში ყველაზედ ბევრსა ყჳრიან და ყველაზედ მცირე ნაყოფი გამოუსათ კელიითგან; ძველის წიგნების ბეჭდვაში ყველაზედ ბევრს მაღლა ხმოვანებენ და ყველაზედ მცირეს ნაყოფითა რჩებიან. მაგრამ საკმაოა. შემდგომს თვეში, თუ ეყოლებიან მკითხველნი «ცისკარს» რომლის პირველი ერთგული თანამშრომელი ვარ მე, და რომლის ამოფხვრას როგორც ყური მოვკარ მეცადინეობენ ზოგნი ერთნი კეთილის საქმის თავს გამომდებნი, მოვილაპარაკებ და საზოგადოსავე წარუდგენ დასასჯელად საზოგადოს ხმით. ახლაკი მშჳდობით!...

ოჰ! ესკი დამავიწყდა, რა უბედურებაა, რომ ყოვლის ფერში ქართულათ უნდა მოვიქცეთ: უმთავრესს საგანს უნდა თავი დავანებოთ და წვრილმანს გამოუდგეთ. ვიცი მიბძანებთ, ყოველი უმთავრესი საქმე წვრილმანებითგან და წვრილ-წვრილად გაკეთდებაო. ამაში მართალნი ბძანდებით. მე გამოგელაპარაკენით საყვარელნო მკითხველნო უფრო მეტად ზოგი ერთთ პირთა თჳსებაზედ,—კეთილზედ თუ ბოროტზედ, ეგ თქვენ თჳთან დაინახეთ. ხალხის თჳსებას დიდი დამოკიდებულება აქვს უმთავრესს საგანთან. უმთავრესი საგანი იმდენს მალე და რიგიანად მიიღებს სისრულეს, რაოდენჯერაც ხალხში ურევიან მომატებით კეთილის თჳსებიანნი და რაოდენჯერაც თანხმობა მეფობს. მაშასადამე ამ ჩემის სალაყბოს ფურცლის საგანიცა ყოფილა უმთავრესი!.. კიდევ რომ ვერ მოგახსენეთ რაც დამავიწყდა. გსთქვა? ნებას მიბოძებთ? არ გამირისხდებით? როგორღაც ვერიდები თქვენს წყენას. ეჰ! ადრეა თუ გჳან ხომ უნდა მოხვდეს, დარწმუნებულნი ბძანდებით, ამას გარდა ჩემის თქმით, თუ უთქმელობით რა იქნება. მაშ მოგახსენებთ: ბატონყმობა! დიაღ, ბატონყმობა! უმთავრესი და უპირველესი საგანი ჩვენთჳს და ჩვენის შჳლის შჳლთათჳს. შემდგომში ამაზედაც მოგელაპარაკებით და მოგახსენებთ იმ ბატონყმობის პროექტის ღირსებაზედ, რომელზედაც დიდის ყურადღებით ლაპარაკობენ ხალხში. მეორედ ნახვამდის?...

მოლაყბე.

№ 412

# ცისკარი

**1862**

ფებერვალი.

წელიწადი მეექუსე.

## წოდება თხზულებათა:


I. — ირაკლი მეორის მეფობა საქართუელოში. . . . . . . თ. რომან ხერხეულიძისა.

II. — სიტყუა, თქმული ქუთაისის სობოროში კჳრიაკის ოცდა პირუელსა. გაბრიელ ეპისკოპოზისა.

III. — სიყრმე შექსპირისა. . . . . გ. დიდებულიძისა.

IV. — ლექსები სხუა და სხუა მწერლებისა.

V. — წიგნი, მოწერილი რედაკტორთან. ეფთჳმე წერეთლისა.

VI. — სხუა და სხუა ანბავი. (იხილე მეორე გვერდზედ.)



ტფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.